


„ხარს ვგეგვარ ნაიალადარს, რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ.
ღმერთო სამშობლო მიცოცხლე, მძინარეც ამას ვლულუნებ.“ (ვაჟა)



თავისუფლება

825
1982 / 2



საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლთა ორბანო

გამოცემის პასუხისმგებელი : გიორგი წერეთელი.

TAVISSOUPLEBISS TRIBOUNA

Journal périodique en langue géorgienne

№36 PARIS MARS 1982 მ ა რ ტ ი პ ა რ ი ზ ი №36

გ ი ლ ო ც ა ვ თ , უ ფ ლ ი ს ა და მ ა ც ხ ო ვ რ ი ს ა ჩ ვ ე ნ ი ს ა , ი ე ს ო
ქ რ ი ს ტ ე ს მ კ ვ ღ რ თ ი თ ა დ ღ გ ო მ ი ს დ ღ ე ს ა ს წ ა უ ლ ს !

*Djabadze's
Library*

შ ი ნ ა ა რ ს ი

- .2 სრული პასუხისმგებლობით დეკანოზი ილია მელია
- .3 თებერვლის ტკივილები და ჩვენი ამოცანები მოწინავე
- .6 ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია ალექსანდრე მანველიშვილი
- .6 შერაბ კოსტავას დაბატირება ზურაბ ნარსია
- .8 საქართველოს „კომუნისტი“ და ეროვნული საკითხი ანდრო გამრეკელი
- .11 ინტერნაციონალიზმი და პატრიოტიზმი გიორგი წერეთელი
- .14 უკანასკნელი ცნობები
- .15 „ენკორუპტიბლ“ შევარდნაძე ?
- .16 გაგიმარჯოს, საქართველოე !
- .18 რუსთაველის თეატრი ავინიონში
- .21 ბრძოლა პოლიტიბუროს წევრებს შორის ?
- .23 ჰელსინკის ჯგუფების დამცველი პარიზის კომიტეტის მიმართვა და საფრანგეთის საგარეო ურთიერთობის მინისტრ კ. შეისონის საპასუხო წერილი.
- .24 სამგლოვიარო განცხადებები. შემომწირველთა სია.
- .25 მისაბაძი მიაგლითი. წმინდანინობა.
- .26 ღომ ბერნარ უტიეს კონფერენცია ეთერი
- .27 დავით ბებიაშვილი
- .27 ემიგრაციის პირველი თაობა (კ. კემულარია; პ. შენგელია)



ს რ უ ლ ი პ ა ს უ ხ ი ს მ გ ე ბ ლ ო ბ ი თ

კერას, 28 თებერვალს, პარიზში, წმინდა ნინოს ეკლესიაში შესრულდა სამგლოვო საბჭოთა რუსეთის მიერ ჩვენი სამშობლოს დაპყრობის 61 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით. მოძღვარმა ილია მელიამ, სანამ წირვას შეუდგებოდა, მოკლე სიტყვით მიმართა დამსწრეთ :

„მესხიერება არის ადამიანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თვისება, — ეკი მართალია ეროვნული შეგნებისათვისაც.

მეორე მხრივ, მესხიერება არის ღვთისაგან მოცემული მადლი, და ადამიანს უნდა ჰქონდეს ნებისყოფა მისდამი, და ასეა აგრეთვე საერთო, საზოგადო დონეზე.

ყოველი ჩვენთაგანი არის მატარებელი, ჩვენი არსების სიღრმეში, სამშობლოს ბედისა, მისი ისტორიული არსებობის მოვლენებისა.

ქართული ემიგრაციის ეროვნული და ისტორიული დანიშნულება და ამავდროს, რა თქმა უნდა, მისი ზნეობრივი და სულიერი მოვალეობა სწორედ ამაშია: გამოთქვას მსოფლიოს წინაშე, რაც ჩვენ ხალხს არა აქვს უფლება გამოამყვანოს ცხადად.

ამ მოვალეობას შევასრულებთ დღეს ამ ეკლესიაში, ქართული ემიგრაციის შუაგულში, თბილისის, ჩვენი საყვარელი სამშობლოს დედაქალაქის დაცემის ხსოვნის აღსანიშნავად, ღვთისადმი ლოცვაში მთელი ჩვენი გულითა და სულით, სრული პასუხისმგებლობით.“

თ ე ბ ე რ ვ ლ ი ს ტ კ ი ვ ი ლ ე ბ ი დ ა ჩ ვ ე ნ ი ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

25 თებერვალი ქართველი ხალხის დამარცხების ავად მოსაგონარი თარიღია.

61 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა რუსეთის შეიარაღებული ძალები, ომის გამოუცხადებლად, ცეცხლითა და მახვილით შემოიჭრენ ჩვენ ქვეყანაში, უთანასწორო ბრძოლაში გაწყვიტეს ჩვენი ძვირფასი მამები და დედები, ძმები და დები, სამშობლოს მკერდით დამცველი მამულიშვილები, დაეპატრონენ ჩვენ მშობლიურ მიწა-წყალს, ჩვენ სახელმწიფოს, ამოშალეს მსოფლიო ქარტიდან სუვერენ საქართველოს სახელმწიფოს სახელი, ქართველ ხალხს ძალმომრეობით ქედზე დაადგეს, მისთვის მიუღებელი, საბჭოთა ტირანიის უღელი.

ვინც მტრის მსახვრელ ხელს გადაურჩა და რუსების ბატონობას არ შეუთრგდა, ისინი უცხოეთში გადმოიხვეწენ და ასე შეიქმნენ ქართული ახალშენები: საფრანგეთში, გერმანიაში, პოლონეთში, ინგლისში, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში.

61 წელიწადია გრძელდება ჩვენი ერის ტრაგედია, 61 წელიწადია სისხლი დის ერის დაკოდლ გულიდან და ის ქართველი რა ქართველია, რომელიც მოსვენებასა და განცხრომას ეძლევა და არ განიცდის ამ ტკივილს.

ქართველი კაცის გულის ტკივილს მოარჩენს მხოლოდ გამარჯვება, მტერზე ძლევა, ეროვნულ მიწა-წყლიდან უცხო მპყრობელების გაძევება. მხოლოდ გამარჯვება მოჰბანს ძველ იარებს და მოაშუშებს მათ.

გამარჯვება არა შუროსსაძიებლად, არამედ სამართლიანობის აღსადგენად, ჩვენი შელახული უფლებების აღსადგენად, დამცირებული ქართული კაცურიკაცობის აღსადგენად, საქართველოს ისტორიულ მამულში ქართველი ხალხის ბატონობის აღსადგენად და ა.შ.

ვისაც ჰგონია, რომ გამარჯვება თავისთავად მოვა, რომ თავისთავად დამყარდება ქვეყნიერებაზე მშვიდობა, ძმობა, ერთობა, თანასწორობა, თავისუფლება, ისევე მანვე და დამღუბელია, როგორც, სიღარიბე თუ ეგოისტური ინტერესით, მტრის სამსახურში ჩამდგარი. მხოლოდ მუდმივი და დაუღალავი ბრძოლითაა შესაძლებელი გამარჯვების მოპოვება. გამარჯვების მოსაპოვებლად საჭიროა ზღვა ოფლი და სისხლი. ასე იქცეოდნენ ჩვენი მამაპაპანი: მათ ერთ ხელში გვთნის ერქვანი ეკავათ, მეორეში—ალეისი მახვილი და ამის წყალობით მოაღწია დღემდე ქართველი კაცის ხსენებამ. ვერც ერთი თაობა ვერ უღალატებს ამ ნაყად გზას, რადგანაც ეს გზა ერთადერთია ჩვენი ერის ხსნის, სიცოცხლის, უკვდავების.



მისარიიტმა. ბოლშევიკების დელეგაციისაგან დამოუკიდებლად ამ. კავ. დელეგაციის დასაყრდენი რება; გერმანია-თურქეთის თვალში აშკარად გახდიდა სწორედ ამ. კავშირსა და უკიდებლობას, რომელიც ფაქტიურად უკვე არსებობდა და საერთაშორისო შოლაპარაკებებში ცალკე გამოხატა მხოლოდ განამტკიცებდა მის ცნობას.

მაინც რატომ თქვა ამ. კავ. კომისარიატმა ბრესტის ზავზე დასწრების უარი? როდესაც ამ. კავ. კომისარიატი დაარსდა, პირველ დღიდანვე, საქვეყნოდ განაცხადა, რომ ამ. კავ. რუსეთისაგან გამოყოფა დროებითია, გამოწვეული შექმნილი მდგომარეობით და ისინი მოელოდნენ პეტერბურგში დამფუძნებელი კრების შეკრებას, რომელსაც უნდა საბოლოოდ გადაწყვიტა ყველა ხალხების ბედი. და რადგან კომისარიატი თავს დამოუკიდებლად არ თვლიდა, არ უნდოდა ისეთი ნაბიჯი გადაედგა, რომელიც მის დამოუკიდებლობას დაადასტურებდა. მაგრამ კომისარიატი ღრმად შეცდა. ამ დროს რუსეთის მთავარ ცენტრებში ბოლშევიკები ბატონობდნენ, და რადგან კომისარიატი მათ არ ცნობდა, სრულიად ბუნებრივი და ლოღიკური იქნებოდა აღნიშნულ კონფერენციაზე დასწრება, მით უმეტეს, რომ მოწინააღმდეგე მხარე მას იქ იწვევდა. მაგრამ იმ იმედით, რომ ლაზარე მკვდრეთით აღსდგებოდა, კომისარიატს არ უნდოდა პირი შეერტყინა ნაადრევი გამოყოფით.

რაც შეეხება შემდეგ, კომისარიატის „განგაშს“ ბოლშევიკების ზავის წინააღმდეგ, ამაში ბოლშევიკები უფრო არიან ლოღიკაში, რადგან ისინი გერმანიას მთლიანი რუსეთის სახელით ელაპარაკებოდნენ, მით უმეტეს რომ ამ. კავასიამ თავისი დამოუკიდებელი სახის ჩვენება არ მოინდომა. ამიტომ ისინი მოიქცნენ ისე როგორც მათ სურდათ და როდის იყო რომ რუსები კავკასიის ინტერესებზე ფიქრობდნენ!


რასაკვირველია, ამ კავ. კომისარიატმა მაშინ დიდი შეცდომა დაუშვა, და ეს შეცდომა დაგვიანებით, პარიზში აკაკი ჩხენკელმა აღიარა. მან ერთ კრებაზე განაცხადა: გვიან, როდესაც მე გერმანიის კანცლერს შევხვდი, მან პირდაპირ მითხრა, თქვენ, რომ წარმომადგენლები გამოგვგზავნათ საზავო კონფერენციაზე, თქვენს ტერიტორიებს თურქებს არ დაუთმობდით.

როდესაც თურქები გვაძულდნენ დამოუკიდებლობა გამოგვეცხადებინა და მათთან მოლაპარაკება გაგვემართა, მაშინ მათ არც ერთხელ უგრძნობინებიათ ტერიტორიალური დათმობები, ახლა კი ამ. კავკასიის შეცდომით ისარგებლეს და ამაზე შესანიშნავად გაითამაშეს, ხოლო შედეგი ცნაბილია...

5

ჩვენი ისტორიის ამ მნიშვნელოვან ხანას, 1917 - 1921 წლებს, საბჭოთა ისტორიკოსებმა ჩვეულებრივი საპროპაგანდო ფრაზეოლოგიით, ზერელედ გადაურბინეს. ქართველი კომუნისტები საქართველოს დამოუკიდებლობის დასამხობად ყველაფერს აკეთებდნენ, მით უმეტეს, რომ ქვეყნის სათავეში მოჰყვნენ მათი განაყოფი მენშევიკები, რაც მათ ვერ მოეწონებინათ. მაგრამ მათ საამისო ძალა არ ჰქონდათ, თუმცა არც სჭირდებოდათ, რადგან ლენინს თავიდანვე ჰქონდა გადაწყვიტებული ძველი იმპერიის აღდგენა, რასთანაც სრულიად შეუთავსებელი იყო საქართველოს დამოუკიდებლობა. ამის დასამტკიცებლად საბუთების ძებნა არ დაგვირდება, ხოლო წარსული ისტორიიდან ჩანს, რომ ლენინი ამ საკითხს ძალიან ფრთხილად ეპყრობოდა. ის ეძებდა ხელსაყრელ შემთხვევებს და ცდილობდა ადგილობრივი ძალების გამოყენებასაც, რომ როგორც მერე მოხდა, დაპყრობა შინაგან გადატრიალებად გამოეცხადებინათ და ეს მათი მეთოდი ვრცელდება დღესაც.

1920 წელს, აპრილში, მათ აზერბაიჯანი დაიკავეს უომრად, თურქებთან შეთანხმების შედეგად. ამით გათამამებული, სცადეს იერიში მიიტანათ საქართველოზე დივერსიებით. მათი ერთი ჯგუფი თავს დაესხა თბილისის სამხედრო სკოლას. თავდასხმელები მთავრობამ შეიპყრო და დასაჯა. ხოლო რუსებთან მოხდა იმი. საქართველოს მთავარსარდლის გენ. კვინიტაძის მოწმობით მას ამ დროს ჰყოლია ორმოც ათასიანი ჯარი და რუსები სასტიკად დაამარცხა. ამ დროს აზერბაიჯანის ჯარების დემობილიზაცია არ იყო მომხდარი და მათი სარდლობა, ისევე როგორც სომხები თურმე ეხვეწებოდნენ გენ. კვინიტაძეს ბრძოლა განაგრძეთ და მთელი ჩვენი ჯარებით მოგვეშველებით რათა რუსები მთელი კავკასიიდან გავაძვეოთო. მაგრამ ამ დროს ლენინმა მიხერხებულად საქართველოს ზავი შესთავაზა და მისი დამოუკიდებლობა იცნო. ნოე ჟორდანიძე როგორც თვითონ წერს, ფიქრობდა, თუ რუსეთი



გვიცნობს, ეს გააადვილებს 'ომ სხეებმაც გვიცნონო. ლენინს კი აღნიშნული დამატებების შემდეგ უნდოდა მიეძინებინა და ხელსაყრელი დრო შეერჩია მით დასაპყრობად. ბოლშევიკები პირიქით, ქართველ მენშევიკებს აბრალებენ აღნიშნულ ხელშეკრულების გამოყენებას. ამნაირად, მეგრ, საქართველოს დადებისა და საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის შემდეგ რუსეთის მიერ, საქართველოს მთავრობამ მოახდინა ჯარების დემობილიზაცია. 1920 წლის დეკემბერში სომხეთის დამოუკიდებლობაც მოსპვეს, კვლავ თურქების ინტრიგების გამოყენებით და ადამიანი ბეცი უნდა ყოფილიყო ვერ გაეგო რომ ჩვენი დროც დადგებოდა და საქირო იყო ზომების მიღება. ნოე ჟორდანიაც აღნიშნავს თავის მემუარებში, დეკემბერში უკვე ვიციოდი რომ რუსები ჩვენზე თავდასხმას აპირობდნენო.

1921 წ. 11 თებერვალს, ომის გამოუცხადებლად რუსეთის წითელი არმია შემოესია საქართველოს. საქართველოს სათანადო ძალა არ ჰყავდა და მიუხედავად რამოდენიმე გმირული ბრძოლის მიცემისა, იძულებული ვახდა **25 თებერვალს** თბილისი უბრალოვგვლად დაეტოვებინა. საქართველოს ამ უბედურების დღეს ბოლშევიკები აცხადებენ არა მარტო მათი გამარჯვების დღედ, არამედ თურმე ამ დღიდან იწყება საქართველოს მომავალი დიდება, რომელმაც უნდა საუკუნოდ დაჩრდილოს საქართველოს დიდებული წარსული. აი, რას წერენ: გვ. **761.** „ქართული მუსიკის, ისევე როგორც ხელოვნების სხვა დარგების და მთელი ქართული კულტურის, მანამდე არნახული აღმავლობის ხანა დაიწყო საქართველოში სოციალისტური რევოლუციის შემდეგ.“ ან კიდევ, გვ. **765.** „...ქართული კულტურის, ისევე როგორც საქართველოს მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების, მანამდე არნახული აღმავლობისა და განვითარების ხანა დაიწყო **1921 წლის 25 თებერვალს,** სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ.“

ახალ თაობებს გულუბრყვილოდ არწმუნებენ, თითქოს საქართველოში მოხდა აჯანყება მთავრობის წინააღმდეგ და რუსები მათ მხოლოდ ეხმარებოდნენ (ისე როგორც დღეს ეხმარებიან ავღანისტანში), საქართველოს დამოუკიდებლობის დამოხრაში! ამ ტრადიციული და პარაკი აღარ ღირს, რადგან ომისა და დაპყრობის ფაქტი მთელი მსოფლიოსათვის არის ცნობილი და არც ის მგონია, დღეს საქართველოში იყოს ისეთი გულუბრყვილო ვინც აღნიშნულ ზღაპარს დაიჯერებს!

სამოცი წლის განმავლობაში ამ სიცრუეზე ზრდიან ახალ თაობას და დაუსრულებლად გაიძახიან, რომ ამ დღეს მთელი ქართველი ერი უდიდესი სიხარულით შეხვდა, განსაკუთრებით ზეიმით მიეგება რუსის ჯარებს თბილისის მოსახლეობა და სხვა.

ყველაფერს საზღვარი აქვს და ხშირად კომუნისტებსაც წამოსდებდათ ხოლმე სიმართლე. მრავალჯერ, დავასახელებ მოწმობას ქართველი კომუნისტების ლიდერის ს. ქავთარაძისა, რომელიც თავის დროზე რაღაც სასწაულით გადაურჩა სტალინის რისხვას. როდესაც თბილისში საბჭოთა საელჩო გაიხსნა კიროვის ელჩობით, მაშინ ს. ქავთარაძე მასთან მსახურობდა. ომის დაწყებისას საქ. მთავრობამ ის დაატუსაღა და ასე ჩაიყვანა ბათუმში (იქ განათავილდა). ქავთარაძე თავის მოვარებებში გადმოგვცემს, როდესაც ის მიიყვანეს სადავურზე ბათუმში წასაცვანად, აი რა სურათი უნახავს მას:

„...დილის სინათლესთან ერთად თვალწინ წარმომიდგა სურათი, რომლის აღწერა მეტად ძნელია. სადავურის წინ, მოედანზე, რომელიც ეკვრის წინა შესავალს, სრულიად უწყისრიოდ ეყარა ჩემოდნები, დატენილი ტომრები, ფუთები, სამზარეულოს ნივთები, ქოთნები, ტაშტები, ერთი სიტყვით ყოველგვარი ხარახურა, შეშაც კი. ერთი ტომრიდან ლობიო სცივდა. იქვე ფუსფუსებდნენ ვიღაც ქალები და დღევითი ტანსაცმელით და თმა ვაბურქავდნენო. მათ სახეზე სასოწარკვეთილება და საშინელება იყო აღბეჭდილი. ისმოდა ოხვრა და წყევლა-კარტუღვა. დატვირთული მანქანების, ეტლებისა და დროვების რიცხვი სულ მატულობდა. ეს იყო შეუტავებელი გაქცევა ნახევრად შეშლილი ხალხისა, რომელსაც ამოძრავებდა შიშის გრძნობა.“ (ს. ქავთარაძე, „1921 წ. თებერვალი.“)

აი როგორი სიხარულით შეხვედრია თბილისის მოსახლეობა ჩვენს „მხსენლად“ შემოსეულ რუსის ჯარებს! წერილის ბოლოსიტყვად მინდა ერთი ძველი ამბავიც გაიხსენო, კავკასიის არქეოლოგიური აქტებიდან, ერთი მრავალთა შორის:

იმერეთის აჯანყების დროს, მთარმართებელმა გვილიამინოვმა, **12 თებერვალს 1820 წ.** ბრძანება მისცა პოლკოვნიკ პუზირევისკის, რათა მას შეეპყრა აჯანყების ყველა მეთაურები, მათ შორის მიტროპოლიტებიც, არქიმანდრიტი და სხვა. პოლკოვნიკმა ის შეასრულა და **16**



თებერვალს, 1820 წელს, ველიამინოვს წერს: „რათა დატუსაღებულნი ვერსად გაიქცნენ, მათ ტომრებში ჩავსიამ და ტომრებს კისერთან და წელზე თოკს მოვუქურ, დამცველად ვაგაძლიერებ, რათა ვახზე თუ მეამბოხეები დაესხნენ, ტყვეები ვერ გაათავისუფლდნენ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ტუსაღები უნდა იქმნენ დახოცილნი და წყალში გადაყრილი.“ (იხ. „აქტები“ ტომი 6, გვ. 797, საბუთი №41)

არის განსხვავება რუსებისა და შახ აბასის ველურ საქციელთა შორის?—არის, და ფრიად დიდიც. მაშინ სპარსელები ქართველებს რომ ანადგურებდნენ, სარწმუნოებასაც იყენებდნენ მიზეზად. მუსულმანები ქრისტიანებს სდევნიდნენ. ახლა კი მართლმადიდებელი რუსები მართლმადიდებელ ქართველ სამღვდლოებას ტომრებში აღრჩობდნენ!...

ალექსანდრე მანველიშვილი
სან ფრანცისკო. 1981 წელი.

მერაბ კოსტავას დაპატიმრება, საქართველოში
პატრიოტული მოძრაობის აღმავლობის ფონზე

„იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნელის“ სააგენტოს ცნობით, გასული წლის 22 ნოემბერს დააპატიმრეს გადასახლებაში მყოფი ცნობილი ქართველი „სხვაგვარად მოაზროვნე“, ჰელსინკის ქართული ჯგუფის ერთ-ერთი დამაარსებელი— მერაბ კოსტავა. ეს ცნობა საზღვარგარეთელ კორესპონდენტებს მოსკოვში გადასცეს მერაბ კოსტავას მეგობრებმა. მ. კოსტავას ერთ-ერთი მეგობრის განცხადებით, მერაბს დაემუქრნენ, რომ თუ იგი არ შეიცვლის თავის აზრებს, მაშინ ის ვერ ეღირსება საქართველოს ნახვას.

გასული წლის 15 დეკემბერს, „აფანს ფრანს პრესის“ სააგენტოს მოსკოველმა კორესპონდენტმა, ადგილობრივ „თავისუფალ მოაზროვნეთა“ წრეების განცხადებაზე დაყრდნობით, გამოსცა ცნობა, რომ მერაბ კოსტავას ხუთი წლით პატიმრობა მიუსაჯეს, სასჯელის მკაცრი რეჟიმის ბანაკებში მოხდით.

მერაბ კოსტავა დიბადა 1939 წელს, განათლებით ის მუსიკათმცოდნეა. დაპატიმრებამდე მასწავლებლობდა მუსიკალურ სკოლაში, თბილისში. ის კოლიანია და ჰუჯეს ერთი ვაჟი.

მ. კოსტავა ადრე ჩაება სიმართლისათვის, ადამიანის უფლებებისათვის ბრძოლაში. 1956 წლის დეკემბერში ის დააპატიმრეს, სხვა 26 ახალგაზრდასთან ერთად, რომელთა შორის იყვნენ ზვიად გამსახურდია, თამაზ გუნჯუა, თემურ ცერცვაძე, ჯონი მეტრეველი, გურამ სხირტაძე, გურამ ღოჩანაშვილი, ჯონო მიქაძე და სხვები. მათ ბრალად დასდეს იატაკქვეშა „საქართველოს თავისუფლების ორგანიზაციის“ ჩამოყალიბებასა და ამ ორგანიზაციის სახელით პროკლამაციების გავრცელებაში. მოწმეთა გადმოცემის თანახმად, ამ პროკლამაციებში, სხვათა შორის, აღწერილი იყო 1956 წლის 9 მარტის ახალგაზრდობის მასობრივი დემონსტრაციების მსვლელობა თბილისში, რომელიც მერვე პოლკის სამხედრო ქვედანაყოფებმა სისხლში ჩაახშეს. ამ თავდასხმის შედეგად ზღერი ახალგაზრდა დაიღუპა და დაიჭრა. პროკლამაციაში ლაპარაკი იყო აგრეთვე ქართველი ხალხის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ. პროკლამაცია შეიცავდა აგრეთვე საქართველოს თავისუფლების მოთხოვნას.

კოსტავამ და მისმა ამხანაგებმა ექვსი თვე გაატარეს პატიმრობაში. მათ სასტიკი განაჩენი ელოდათ, მაგრამ სასამართლომ მათ პირობითი სასჯელი მიუსაჯა და ისინი ციხიდან განათავისუფლა იმის შიშით, რომ 1956 წლის მარტის შემდეგ არსებული დაძაბული მდგომარეობა კიდევ უფრო არ გამწვავებულიყო.

მერაბ კოსტავა ამან როდი შეაშინა. 1973 წელს შეიქმნა „ადამიანის უფლებათა დაცვის ქართული საინციტივო ჯგუფი.“ მ. კოსტავა ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი დამაარსებელია განი იყო. შემდეგ მან და მისმა მეგობრებმა დააარსეს იატაკქვეშა ქართული თვითგამოცემა— ჟურნალი „საქართველოს მოამბე“. კოსტავამ და ჟურნალში გამოაქვეყნა ვრცელი სტატიები, სახელდობრ: „ბნელეთის ბრძოლა ადღმომის წინააღმდეგ.“ „ანდრეი ხახაროვის წიგნის „ქვეყნისა და მსოფლიოს“ შესახებ.“ „მესხების ტრაგედია“ და სხვა. ქართული თვითგამოცემის ზოგიერთმა მასალამ ჩვენამდეც მოაღწია.

1977 წელს მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია დააპატიმრეს, ანტი-საბჭოური განდღობისა და ავტორიტეტის ბრალდებით. მათი სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა 1978 წლის 15.-19 მაისში. მათ სხვათა შორის ბრალს სდებდნენ იატაკქვეშა ყურნალის გამოცემაში, ანტისაბჭოური ლიტერატურის დამზადებაში, შენახვაში და გავრცელებაში.

მერაბ კოსტავამ სასამართლოზე განაცხადა: „ჩვენ საქმიანობას ჩვენ არ ვმალავდით, ჩვენ ყოველ სტატიას ხელს ვაწერდით, ამიტომ ჩვენი მოღვაწეობა არ არის არალეგალური.“ მან აღნიშნა აგრეთვე, რომ მეცხეების ტრაველიის შესახებ დაწერილი სტატია არ მიიჩნია ანტი-საბჭოურად. სასამართლომ ორივეს სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსჯა, შრომა-გასაწორების საპატიმრო ბანაკებში მოხდითა და შემდგომ ორი წლით გადასახლებაში. ზვიად გამსახურდიას ეს სასჯელი ორი წლით გადასახლებით შეუცვალეს, ხოლო მერაბ კოსტავა ჩაიფხანეს პერმის 37-ე საპატიმრო ბანაკში.

იმავე წლის 21 მაისის განჯეთში „პრავდამ“ გამოაქვეყნა საკდესის ცნობა სათაურით: „ღმინაშევენი დაისჯენ.“ ცნობაში ლაპარაკი იყო იური ორლოვის, ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას გასამართლების შესახებ. ეს ცნობა საქართველოშიც გამოქვეყნდა პრესაში.

აი რა განაცხადა საყოველთაოდ ცნობილმა თავისუფლებისათვის მებრძოლმა გენერალმა გრიგორენკომ, მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას სასამართლო პროცესის მსვლელობის დროს: „თბილისში ასამართლებენ ჰელსინკის ქართული ჯგუფის არა მარტო ორ წევრს, არამედ ასამართლებენ ჰელსინკის შეთანხმებათა დაცვის ქართულ ჯგუფს საერთოდ... ასამართლებენ საქართველოს სინდისს. საშინელმა ბნელმა დამემ მოიცვა საქართველო, ქართული კულტურა, დიდებული ქართული ენა შოთა რუსთაველისა... ჩვენ, გამსახურდიასა და კოსტავას მეგობრებმა ვიცით, რომ ისინი პატიოსანი ადამიანები, ნამდვილი ქართველი პატრიოტები არიან; და მოვა დრო, როდესაც ქართველი ხალხი მათ აღიარებს თავის გმირებად და განაჩენს გამოუტანს მათ ახლანდელ გამსამართლებებს.“

მერაბ კოსტავას და ზვიად გამსახურდიას სასამართლო პროცესი ფართოდ გააშუქა მსოფლიოს პრესამ.

ახლა, ცნობამ გადასახლებაში მყოფ მერაბ კოსტავას დაპატიმრების შესახებ, დიდი შემფოთება გამოიწვია უცხოეთში მყოფ ქართველებში. ცნობილია, რომ როცა დააპატიმრეს, მ. კოსტავას გადასახლების ვადა ექვს თვეში იწურებოდა, რაშია საქმე, რატომ მიმართა კაცებმე თავის ნაღვს ხერხს-პროვოკაციას? ჩემის აზრით, საქმე იმაშია, რომ 1977-78 წლებში საქართველოში დემოკრატიულ მოძრაობისადმი მიყენებულ მძიმე დარტყმის შემდეგ, 1981 წელი აღინიშნა ქართველი ინტელიგენციისა და ახალგაზრდობის, უპირველესად სტუდენტობის, მზარდი ეროვნული აქტიურობით. ამას თვალნათლივ ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ გასულ წელს საქართველოში მხოლოდ მასობრივ საპროტესტო გამოსვლებსა და დემონსტრაციებს ხსთჯერ ჰქონდა ადგილი. ეს დემონსტრაციები გაიმართა გასული წლის 23 მარტს თბილისის უნივერსიტეტში, 30 მარტს თბილისში, მთავრობის სასახლის წინ, 19 აპრილს მცხეთაში, 18 მაისს-თბილისის უნივერსიტეტში და 14 ოქტომბერს მცხეთაში.

აღსანიშნავია, რომ ზვიად გამსახურდია კვლავ ვახვად ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის აქტიური მონაწილე. როგორც ზეითი აღნიშნე, იგი 1977 წელს დააპატიმრეს, შემდეგ კი გაასამართლეს მერაბ კოსტავასთან ერთად, მაგრამ 1978 წელს ტელევიზიაში გამოსვლის შემდეგ, როცა მან მოინანია ზოგიერთი თავისი ნაშოქმედარი, პატიმრობის დანარჩენი ვადა მას აპატიეს. ფაქტები მოწმობს, რომ ზ. გამსახურდია კვლავ განაგრძობს პატრიოტულ მოღვაწეობას. მაგალითად, მან საპროტესტო წერილი მიმართა ბრეჯნევსა და სამჭოთა კავშირის კომპარტიის მე-26-ე ყრილობას, დასავლეთ აზერბაიჯანში ქართველების შევიწროების გამო; მისი სახელი მოხსენებულია თვითგამოცემის იმ დოკუმენტებში, რომლებშიც აღწერილია გასული წლის მარტსა და მაისში საქართველოში მომხდარ დემონსტრაციათა მსვლელობა; დასასრულ ის, რომ გასულ წლის 14 ოქტომბერს, მცხეთაში გაპართული დემონსტრაციის შემდეგ იგიც დააპატიმრეს.

საქართველოს ეროვნული მოძრაობის მზარდი პროცესისა და ამ აღმავლობის სამჭოთა მთავრობის შეშფოთების გამომხატველია აგრეთვე ის, რომ საქ. კომკავშირის ც. კომიტეტის პირველმა განვანმა ოსებ ორჯონიკიძემ, საქ. სტუდენტთა აქტივის კრებაზე საჯაროდ მიუნიშნა მცხეთაში მომხდარ დემონსტრაციაზე. მისი ეს სიტყვა გამოქვეყნდა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ გასული წლის 12 დეკემბრის ნომერში. ი. ორჯონიკიძემ სხვათა შორის შემდეგი განაცხადა: „აქტივის კრების მონაწილეებმა იციან, რომ ამ რამოდენიმე დღის უკ-

ლი კულტურა, და მათ შორის ქართულიც, სულ უფრო სოციალისტური ხდება თავისი შინა-არსითო, მოყვანილია ბრენევის მიითება, რომ: „მიმდინარეობს ეროვნულ კულტურის ფორმირება და ურთიერთ გამდიდრება, ახალი სოციალური და ინტერნაციონალური ერთობის ერთიანი საბჭოთა ხალხის კულტურის ჩამოყალიბება“-ო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უნდა შეიქმნეს ერთიანი საბჭოთა ხალხი, რომელსაც შინაარსით ერთიანი კულტურა გააჩნდეს იქნება, მაგრამ ამ ერთიან კულტურას მრავალნაირი ნაციონალური ფორმა ექნება. მავალითა, რუსთაველის დროინდელი ეროვნული კულტურისაგან განსხვავებით, მომავალი ქართული კულტურა, -სტატიების ავტორების ლოგიკით, - იქნება ეროვნული არა კულტურის ორივე შემადგენლით - ფორმითაც და შინაარსითაც - არამედ მხოლოდ ფორმით, ვინაიდან დღევანდელი ქართული ლიტერატურის შინაარსი თითქოს უფრო პროგრესულია, ვიდრე ვეფხისტყაოსნის შინაარსი, რომელიც, როგორც მოგვხსენებთ, წმინდა ნაციონალურია და ჩვენ ვიტყოდით, სწორედ ამიტომ ზოგად-საკაცობრიოც.


მაშასადამე, მომავალში ქართული კულტურა მთლიანად უნდა განთავისუფლდეს ეროვნული შინაარსისაგან, მაგრამ შეინარჩუნებს თავის ნაციონალურ ფორმას. ავტორების ეს აზრი, ცოტა არ იყოს, მიგვაჩნია არა გულწრფელად და ამ ბოლო სიტყვას იმიტომ ვხმარობთ, რომ ვერ წარმოგვიდგენია თუ მათ-ისტორიის მეცნიერებათა დოქტორსა და ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატს-როგორც იტყვიან, აკვანშივე არ შეასწავლეს მარქსისტული თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი დოგმა, რომლის მიხედვითაც შინაარსის ყოველგვარი შეცვლა უშავი იწვევს სათანადო ფორმისეულ შეცვლასაც.

ამ მხრით, მარქსიზმის დამაარსებლები გაცილებით უფრო გულღიანი ყოფილან, ვინაიდან ჯერ კიდევ ერთი საუკუნის წინ თავის საპროგრამო ნაწერში: „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“-პირდაპირი გვერიდებოდნენ, რომ სოციალიზმის გამარჯვების შემდეგ მრავალი სხვადასხვა-ნაირი ეროვნული ლიტერატურების, ხელოვნებების და საერთო კულტურების ნაცვლად შეიქმნება ერთიანი კულტურა, -ერთიანი თავისი შინაარსითაც და ფორმითაც. და მართლაც, პატრიარქული მკითხველო, საბჭოთა კომპარტიის ხელმძღვანელობის წყალობით სულ უფრო აშკარად იჩენს თავს მცდელობა, საბჭოთა კავშირში მცხოვრები ერების კულტურებისაგან შეიქმნას რაღაც ერთიანი უსახო და უსული კულტურა, რაღაც ისეთი, რაც-ერთი თანამედროვე სატირკოსის სიტყვებით რომ ვთქვათ, -ერთნაირი იქნება თავისი შინაარსით, მაგრამ ფორმით საბავიეროდ-განუსხვავებელი.

შევეცადეთ რა გვეჩვენება ამ პრინციპის როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული უსულობა, ახლა ჩვენ ვესურს შემოგთავაზოთ ანალიზი კიდევ ერთი ცნობილი პარტიული და ზემოთ აღნიშნული სტატიების ავტორების მიერ დიდად მოწონებული პრინციპისა, რომლის მიხედვითაც სოციალისტურ პირობებში მიმდინარეობს სხვადასხვა ეროვნული კულტურების ურთიერთგამადიდრებელი დიალოგი. ამასთან, ხსენებულ ავტორების სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ გრძნობენ რა თითქოს თავისი საწყისი, ჩემს მიერ მოყვანილი, აზრის ლოგიკურ შეუსაბამობას, ისინი ორივენი ცდილობენ შემდეგ თავი დაადწიონ იმ ყალბ დებულებას და ცხოვრებისეულ სურათს შორის აშკარა წინააღმდეგობას. სამწუხარო ის არის მხოლოდ, რომ თავის დღევეს ორივენი ლამობენ არა სიმართლის გამოვლენას, არამედ ნაძალადევი და გაცივითილი თეორიული ტრიუკების საშუალებით, ანუ უბრალოდ იმ განცხადების ნაცვლად, რომ მომავალში საბჭოთა ეროვნულ კულტურებს თვითმყოფადური იერსახე უნდა მოეშალოს, ამ მარტივი აზრის მარტივად გამოთქმის ნაცვლად ისინი, თითქოს ვერ ბედავენო პირდაპირ ლაპარაკს, დახლართულად აწვდიან მკითხველს. ერთ-ერთი მათგანი-დამენია-როგორც ეს ბევრ დღევანდელ მარქსისტ-ლენინელ მოფილოსოფოსო ეკვილიბრისტებს სჩვევია, შემდგენიარ ფიგურას ვთავაზობს:

„ეროვნული კულტურის არსებობა, წერს იგი, სხვა არაფერია თუ არა მისი დიალოგი სხვა კულტურასთან, მაგრამ კულტურათა დიალოგის აუცილებელი პირობა მათი დიალექტიკური ერთიანობაა“-ო.

ნორმალურ ენაზე რომ ვთარგმნოთ ეს სიტყვები გამოვა, რომ, ვთქვათ, ქართული კულტურის არსებობა რუსულ კულტურასთან ურთიერთობითაა მხოლოდ გამართლებული, ხოლო ეს ურთიერთობა წარმოდგენილია ამ უკანასკნელთან, ე.ი. რუსულ კულტურასთან შერწყმის გარეშე. უფრო მოკლედ, ჩიტი ფრთითა, ქალი თმითა და ეროვნული კულტურა- ეროვნულობაზე უარის თქმითაო.



მართალია ავტორის უბრალო შერწყმაზე, ანდა უფრო შეკონსერვულად რომ ამბობს თვითონვე, უბრალო ერთიანობაზე კი არ აქვს ლაპარაკი, არამედ სწორედ დიალექტიკური ხე, მაგრამ მოგვსენებათ, რომ, როგორც ლენინური თეორია ქადაგებს, ნებისმიერი დიალექტიკური ერთიანობა წარმოუდგენელია გასაერთიანებლის ან გაერთიანებულის ერთმანეთთან ბრძოლის გარეშე. ხოლო, სოციალიზმისა და მეტადრე კომუნისმის პირობებში, ეს ბრძოლა მეტად თავისებური გახლავთ: იგი ანტაგონისტური კი არ არის კარგისა ცუდთან, არამედ კარგისა უფრო კარგთან.

წინათ ხსენებული სატირიკოსის, ყოფილი საბჭოთა ფილოსოფოსის ზინოვიევის სიტყვებით რომ ვთქვათ, „გამორჩდება თუ არა, მაგალითად, მეტ-ნაკლებად ნორმალური კარტოფილი, მას უმაღლვე უწყებს ბრძოლას უფრო კარგი. ამის შედეგად, ადრე გამორჩენილი კარტოფილი სრულიად ქრება, ხოლო სანამ ახალი, უფრო კარგი ფესს მოიკიდებებს მალაჩიებში, მას ვანდევნის უფრო და უფრო კარგი კარტოფილი და ასე დაუსრულებლივ.“

ესე იგი, კარგი, ვთქვათ, ქართული ეროვნული კულტურა სხვა უფრო კარგ კულტურასთან დილოგში და მასთან შერწყმაში უნდა ხედავდეს თავის დანიშნულებასო. ხოლო ეს უკანასკნელი, თავის მხრით, უფრო და უფრო კარგ, საუკეთესო კულტურაში გაქრებაო, რაც თავის თავად, რაღა თქმა უნდა, პირველადი კარგის, ანუ ქართული კულტურის უკვალოდ გაქრობას გულისხმობს.

ზემოდ ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებია ხსენებული ავტორების მიერ იმ დიდად მოწონებულ პარტიული პრინციპის სიყალბე, რომ თითქოს საბჭოთა ეროვნული კულტურების შინაარსის გაიგივება არ იწვევსო მათ თვითმყოფადური, ნაციონალური იერსახის მოშლას. გარდა ამისა შევხებთ იმავე ავტორების მიერ ასევე დიდად მოწონებულ ცნობილ დებულებას, რომ საბჭოთა კავშირში სულ უფრო რბმავდება ეროვნულ კულტურათა ერთმანეთთან დილოგი, ანუ მათი დიალექტიკური ერთიანობაო, რაც ჩვენი აზრით, სხვას არაფერს არ ნიშნავს, თუ არა ამ კულტურების ერთმანეთში ათქვევას, და უფრო სწორად კი, მცირე ერის ნაციონალური კულტურის დიდი ერის კულტურაში უკვალოდ გაქრობას.

ახლა გავცნოთ თუ როგორ აქვთ წარმოდგენილი ხსენებულ ავტორებს თვით საბჭოთა ერების ურთიერთობის საკითხი.

„ჩვენს ლიტერატურაში, —წერს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ჭანია, —ხშირად კამათობენ იმაზე, რომ სოციალიზმში ჭარბობს ერთა განვითარების, ხოლო კომუნისმში —ერთა დაახლოების ტენდენციები. საკითხის ასე დასმა სწორი არ არის. სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში ერთა განვითარება შეუძლებელია ერთა დაუახლოებლად... განა შეიძლება უფლებებზე უკეთესად დიდესი დახმარება, რომელსაც რუსი ერი უწყევდა და უწყევს სხვა ერებსა და ეროვნებებს (გვრდი მე-13-ე.)“

მაშასადამე, ავტორის აზრით, არ ყოფილა მართებული კომუნისმის მობრძანების დროისთვის გადაღება საბჭოთა ერების რუს ერთან დაახლოების, ან შერწყმის, და ეს შერწყმა დღევანდელი, სოციალიზმში უნდა ხდებოდეს. ვინაიდანო, ერის, ვთქვათ ქართველი ერის, განვითარება და აყვავება თავისთავად წარმოუდგენელია ამ ერის სხვა ერთან, საგულისხმოა რუსებთან შერწყმის გარეშეო. უფრო მეტიც: რუს ერში სხვა ერისა თუ ეროვნების, მაგალითად ქართველების გათქვევდის საქმე, ავტორის მტკიცებით, უფრო მნიშვნელოვანი საქმე ყოფილა, ვიდრე ამ ერის აყვავებაო. ამას იგი მცირეოდენი თეორიული გავარჯიშების შემდეგ პირდაპირ აცხადებს მეთოხმეტე გვერდზე:

„ერთა აყვავებისა და დაახლოების ტენდენციები სრულებითაც არ ნიშნავს, თითქოს არ შეიძლებოდეს მათგან ერთ-ერთისათვის უპირატესობის მინიჭება. ორი ტენდენციის მოქმედების დიალექტიკა სწორედ ის არის, რომ ამ წამყვანად უნდა დაეცახელოთ ერთა დაახლოების ტენდენცია. კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის მაგისტრალური ხაზი სწორედ ერთა დაახლოებაა.“

ასე, რომ, პატივცემულ მკითხველო, როგორც ხედავთ, თუ ქართველები ჯერჯერობით ყველაზე მარჯვედ ახერხებენ თავიანთი ეროვნული თვითმყოფადობის, საკუთარი ენისა და უძველესი ტრადიციების დაცვას, ამაში ჩვენ საქართველოს კომპარტიის მმართველობას კი არ უნდა ვუშალოდეთ, არამედ თვით ქართველი ხალხის —ქართ. მშრომელების, სტუდენტებისა და ინტელიგენციის —სიმტკიცეს და წინაპრებისადმი ერთგულებას, რაც თავისთავად, როგორც მოგეცხენებათ, თვით ქარ. კულტურის სული და თავისებურება გახლავთ.

ინტერნაციონალიზმი და პატრიოტიზმი

წელს, საბჭოთა რუსეთის მიერ ჩვენი სამშობლოს დაპყრობის 60 წლისთავს როცა ზეიმობდა, ეღუარდ შევარდნაძემ ბევრ სხვა „სიბრძნეთა“ შორის შემდეგი განაცხადა: „ლიბა, ინტერნაციონალიზმი ჩვენი კრელი, ჩვენი დროშა, ჩვენი ცხოვრების წესია, და ამასთანავე ჩვენ პატრიოტები ვართ. აქ არავითარი წინააღმდეგობა არ არის...“

შევარდნაძეს ეს ფორმულა არ გამოუფიქრებია, ის მხოლოდ იმეორებს. საბჭოთა პროპაგანდა განუწყვეტლად და დაუღალავად კვებავს მის მიერ დაპყრობილ ხალხებს ამ საცეცხლით. საჭიროა ამ საცეცხლის ქიმიური ანალიზი. მართლა, რუსების მიერ დაპყრობილ ერთა პატრიოტიზმსა და საბჭოურ ინტერნაციონალიზმს შორის არ არსებობს არავითარი განსხვავება? არავითარი წინააღმდეგობა?

პოლიტიკურ ლიტერატურაში სიტყვები „ინტერნაციონალიზმი“, „ინტერნაციონალი“ და „ინტერნაციონალისტი“ შემოდიან მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, მუშათა და სოციალისტური მოძრაობის განვითარებასთან დაკავშირებით. ის გულისხმობს მსოფლიო პროლეტარიატის სოლიდარობას, რათა გადრეკილებული იქნეს კლასთაბრძოლა, კაპიტალისტური საზოგადოების დასამხობლად და მის ადგილას სოციალისტურის დასამყარებლად. ინტერნაციონალის მამამთავრებად ითვლებიან ფრანგი რევოლუციონერი ბაბოვი და მარქსი და ენგელსი. პირველმა „თანასწორობა შეთქმულება“ დააარსა საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდში, 1795 წელს, მარქსმა და ენგელსმა კი „კომუნისტური ლიგები“-1847-48 წ. პირველი ინტერნაციონალი დაარსდა 1864 წელს, 28 სექტემბერს, ლონდონში. მისმა უმრავლესობამ გაიზიარა მარქსის პოლიტიკური იდეები და ფაქტიურად მარქსი ხელმძღვანელობდა მას ბოლომდე, 1876 წლამდე, ე.ი. მის დაშლამდე.

რუსმა ანარქისტულმა ბაკუნინმა, გამოიციხა რა მარქსმა პირველ ინტერნაციონალიდან, 1872 წელს დააარსა ანარქისტული ინტერნაციონალი, რომელმაც იარსება 1881 წლამდე.

1889 წელს, ევროპის სოციალისტურმა და სოციალ-დემოკრატიულმა პარტიებმა დააარსეს მეორე ინტერნაციონალი, რომლის წევრიც გახდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, რომლის წიაღშიაც, როგორც ვიცით, ჩამოყალიბდნენ ბოლშევიკური და მენშევიკური პარტიები. მეორე ინტერნაციონალი დაიშალა პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას.

იმ ომის დამთავრების შემდეგ, 1919 წელში, ქ. ბერნის ყილოზაზე ისევ განახლდა მეორე ინტერნაციონალი, ე.წ. მემარჯვენე სოციალისტურ პარტიებისაგან და ავსტრიელი სოციალისტი კარლ კაუტსი იყო მისი დიდრი.

ამავე წელს ლენინმა დააარსა მესამე-კომინტერნალ წოდებული-ინტერნაციონალი.

1921 წელში, ეგრედ წოდებ. სოციალისტ-ცენტრისტებისაგან დაარსდა ინტერნაციონალი, რომელიც იწოდებოდა 2½ ინტერნაციონალად. 1923 წელს, ქ. ჰამბურგის ყილოზაზე ეს უკანასკნელი ინტერნაციონალი შეუერთდა მეორე ინტერნაციონალს.

როგორც კი დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, 1939 წელს მეორე ინტერნაციონალიც დაიშალა, ხოლო ლენინის მიერ დაარსებული კომინტერნი სტალინმა დაშალა 1943 წელს.

სტალინიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად ლეონ ტროცკიმ 1937 წელს, მექსიკაში დააარსა ტროცკისტული ინტერნაციონალი.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ისევ განახლდა მეორე ინტერნაციონალი, 1951 წელში, ქ. ფრანკფურტის ყილოზით, მას ეწოდება სოციალისტური ინტერნაციონალი და იგი დღემდე განაგრძობს არსებობას. სოციალისტური ინტერნაციონალი დებულობს მარქსისტულ ანალიზს კლასთა ბრძოლისა და კაპიტალისტური საზოგადოების სოციალისტურით შეცვლის საჭიროებას, მაგრამ ის გამოხს პროლეტარიატის დიქტატურას და სოციალიზმის განსახორციელებლად ის ემზობა პარლამენტარულ რესპუბლიკას.

ყველა ინტერნაციონალიზმებისაგან რომლებიც კი არსებულა ან არსებობს საერთოა ერთი პოლიტიკური პოსტულატი: ყველა ხალხების პროლეტარიატს აქვს ერთი საერთო ინტერესი-კაპიტალისტური საზოგადოების დამხობა და მის ადგილზე უკლასო სოციალისტური საზოგადოების გაბატონება-ამ მთავარ იდეას უნდა ენაცვალოს ერების ყველა სხვა ინტერესები.

არ ვუარყოფთ იმას, რომ პირველ ინტერნაციონალისტებს კეთილშობილური მოტივები ამოძრავებდნენ. მათ სურდათ საერთაშორისო სოლიდარობით დაეჭვებინათ ყველაზე



უფრო დაჩაგრული კლასის—პროლეტარიატის ემანსიპაცია. მარქსი და მარქსისტები ყველგან დაპყრობითი ომების წინააღმდეგები, თვით მარქსი გააფთრებით იბრძოდნენ ისტორიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, იცავდა როგორც პოლინეთს, ისე ეკვასიას, მარქსი, როგორც გერმანელი, ებრძოდა გერმანიის სამეფოებად და სამთავროებად დაქუცმაცებას და სიტყვით თუ საქმით ხელს უწყობდა ერთ ცენტრალიზებულ გერმანიის სახელმწიფოს შექმნას. თუ ასე იქნება გაგებული ინტერნაციონალიზმი, მაშინ საივთხი სხვაგვარად დაისივანა, მაგრამ ინტერნაციონალიზმი სრულებითაც არ განისაზღვრება სრული თქმულით, მისი განმსაზღვრელი სრულებით სხვა რამ არის.

მარქსი და შემდეგ მისი მიმდევრები ინტერნაციონალისტები ცალმხრივად უყურებდნენ საზოგადოებას, ისინი გადაჭარბებულ მნიშვნელობას აძლევდნენ და აძლევდნენ კლასთა ბრძოლას და ის მიაჩნდით და მიაჩნით ისტორიის მთავარ მამოძრავებელ ძალად, მაშინ, როცა პატრიოტისათვის მთავარია და წმინდათაწმიდაა ერი, ყველა მისი შემადგენელი ელემენტებით (პროლეტარიატი, გლეხობა, ვაჭარ-ხელოსნები, ინტელიგენცია) და მისი დაცვა ყველაზე კეთილშობილური. სოციალური საივთხი ერის წიაღში დიდაც არის მნიშვნელოვანი პრობლემა, მაგრამ, წინააღმდეგ მარქსისტებისა, იგი არამც და არამც არაა გადამწყვეტი. კაცობრიობის ისტორიამ არ იცის რომელიმე ხალხი გადაშენებულიყო სოციალური უთანასწორობის და მით გამოწვეული კლასთა ბრძოლის შედეგად. თვით რომსაც, სადაც უღარესად გამწვავებული ბრძოლები მიმდინარეობდა მონებსა და მონათმფლობელებს შორის, ვერაფერი დააკო მონების არაერთმა აჯანყებებმა და მისი ძლიერებაც და არსებობაც საბოლოოდ გაურდნა შემოსეულმა გერმანელმა ბარბაროსებმა მოსკეს. გარედან შემოსეულმა მტრებმა გადააშენეს გალები, ძველი ეგვიპტელები, ასურელები, ფინიციელები და რამდენი სხვა ხალხები.

ერის თავდაცვა საგარეო საფრთხისაგან იყო და არის ყოველი ერიშვილის უმთავრესი საზრუნავი. შემოსეული მტრისგან დაცვა და ხსნა, იყო და რჩება პატრიოტიზმის ძირითად ნიშნად და თვისებად. ქართული განმარტებითი ლექსიკონი მშვენივრად განმარტავს სიტყვა „პატრიოტს“:

„დაძიანი, რომელსაც უყვარს თავისი სამშობლო, მზად არის მისთვის თავი გასწიროს,— თავისი ხალხის ერთგული, სამშობლოსათვის თავდადებული.“

ამ ციტატის პირველი ნაწილი არ არის პატრიოტის მთავარ თვისება, სამშობლო ყველა მის შვილს უყვარს, ხშირად უღირსებსაც. პატრიოტისათვის მთავარია სამშობლოსათვის, მშობელი ხალხისათვის თავდადება. სამშობლოს პრიმატობის აღიარება, დაცვა, ცხოვრებაში საქმით განხორციელება.

ამიტომაც ინტერნაციონალიზმის თვით კლასიკური, მარქსისტული გაგებაც კი წინააღმდეგობაში იყო პატრიოტიზმთან და ამ წინააღმდეგობის შედეგად ის ყველთვის მარცხდებოდა. პატრიოტიზმთან შეუსაბამობის შედეგად დიშალა პირველი ინტერნაციონალი. პრუსია-საფრანგეთის ომმა გამოამჟღავნა მისი სისუტე. ფრანგმა სოციალისტებმა მათი სამშობლო - საფრანგეთის დაცვა წამოაყენეს, გერმანელმა სოციალისტებმა კი ბისმარკის გერმანიისა.

ასეთივე დევიზი მეორე ინტერნაციონალს, ისიც დაიშალა, როგორც პირველ, ისე მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე. რატომ? იმიტომ, რომ ევროპის სოციალისტებმა გადაწყვიტეს თავ-თავისი სამშობლოს დაცვა და ისინი მოპირდაპირე მტრულ სანგრებში აღმოჩნნენ. ერთი სიტყვით, კრიზისულ მომენტებში, როცა არჩევანი უნდა გაკეთდეს, ინტერნაციონალიზმი ყოველთვის მარცხდება, და მას ამარცხებს არა სხვა რამ, არამედ სწორედ პატრიოტიზმი. მაშ, იყო ინტერნაციონალისტები, და ამავე დროს იყო პატრიოტები, არც ისე ადვილი ყოფილა, როგორც ეს შეგარდნაძეს წარმოუდგენია!

არის სხვა მოსაზრება და მეტად სერიოზული მოსაზრებაც, რომელიც პატრიოტისთვის საზოგადოდ, და კერძოდ ჩვენს შემთხვევაში ქართველ პატრიოტისათვის, ინტერნაციონალიზმს მიუღებლად ხდის. ეს ისაა, რომ საერთოდ ყველა ინტერნაციონალიზმი (მე ჯერ არ ვეხებო საბჭოურ ინტერნაციონალიზმს, ამაზე შემდეგ.) მოითხოვს თვითოეულ ერიში კლასთა ბრძოლის გაღრმავებას, ერის შემადგენელ ნაწილების ანტაგონისტურ დაპირისპირებას. ინტერნაციონალიზმის დროშაზე აწერია მარქსის სიტყვები: „პროლეტარიატს სამშობლო არა აქვს.“ რაც მომაკდინებელია საერთოდ პატარა ხალხებისათვის, განსაკუთრებით კი ჩვენისათვის დაპყრობილი ხალხისთვის.

ქართული ხალხის ისტორიული უმბედურების ერთ-ერთი მიზეზი იყო კუთხური პარტიკულ-



ლარიზში. როგორც იქნა დავძლიეთ ეს ეროვნული სენი, მაგრამ ამ საუკუნის დამდეგობიდან ჩვენში შემოვიდა და გავრცელდა მარქსისტული კლასთა ბრძოლის იდეოლოგია, რამაც უკლებლივ წინააღმდეგ. ხოლო, როცა ქართველმა ხალხმა თავი მაინც გაინათავისუფლა 1918 წლის 26 მაისს, იგივე ინტერნაციონალისტურმა იდეოლოგიამ, რუსის ჯარებთან ერთად, მახვილი ჩასცა ზურგიდან და ისევ რუსების ქვეშევრდომად აქცია. ამ უჟანასწავლი მოსაზრებითაც ქართული პატრიოტიზმი შეუთავსებელია მარქსისტულ ინტერნაციონალიზმთანაც კი. ალბათ გამორჩეულია ისეთები, რომლებიც მეტყვიან, განა მარქსისტ-ინტერნაციონალისტები არ იყვნენ, რომლებმაც თავი თავი დასველეს სამშობლოს დასაცავად? ეს ქვეშაობებია. მეორე ჯგუფმა ინტერნაციონალისტებისა, და ბევრად უფრო დიდმა ჯგუფმაც, ღირსეულად დაიცვა სამშობლო, მაგრამ ამის მიზეზი ის იყო, რომ ისინი უპირველესად პატრიოტები იყვნენ, რომ მათში პატრიოტიზმი ამარცხებდა ინტერნაციონალიზმს. და ეს ქართველ ინტერნაციონალისტ-პატრიოტების მავალით, კიდევ უფრო ამტკიცებს ჩვენს ზემოთქმულ დებულებას, რომ ინტერნაციონალიზმი პატრიოტიზმთან დაპირისპირებაში ხშირად გამოსულა და გამოიღის დამარცხებული.

ყველასათვის ცნობილია: პირველი მსოფლიო ომის ნანგრევებზე, რუსეთში გაიმარჯვა რუსეთის სოც. დემოკრატიული მუშათა პარტიის უკიდურესმა მიმდინარეობამ—ბოლშევიზმმა. რიგი სოციალისტ-ინტერნაციონალისტებისათვის მთელ მსოფლიოში მისაღწეველ ბოლშევიკების გამარჯვებას და ბოლშევიკური რუსეთი სოციალიზმის პირველ სამშობლოდ გამოაცხადეს. თუმცა, შემდეგ ბოლშევიკებმა თავიანთ თავს კომუნისტები უწოდეს მარქსის „კომუნისტური ლიგების“ გავლენით, მაგრამ თავიანთ პირველ სახელწოდებას ისინი დღემდე ვერ შეუღვიან მთლიანად და სამართლიანობა მოითხოვენ, რომ ისინი ბოლშევიკებად შევიდნენ ისტორიაში და არა კომუნისტებად, მით უმეტეს სოციალისტებად. არც ის იქნება მართებული, ვთქვათ, რომ ესაა წმინდა რუსული მოვლენა, რადგანაც, თუმიც ბოლშევიზმმა რუსეთში პპოვა ყველაზე ნოყიერი ნიადაგი, მაინც იგი მსოფლიო მოვლენაა, ის გამოხატავს მსოფლიო ინტერნაციონალისტ-მარქსისტთა უკიდურეს მიმდინარეობას, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს ძალით აცხონოს კომუნისმით კაცობრიობა, თუნდაც ამისთვის მათ დასჭირდეთ მთელი ადამიანის მოღმის საიჭიოში გასტუმრება.

თუმცა, აქვე უნდა ვთქვათ, რომ მსოფლიოობის ნიღაბი, ბოლშევიკების პოლიტიკურ მემკვიდრე საბჭოთა რეჟიმს, თანდათან ეხდება და დებულობს წმინდა რუსულ სახეს.

საბჭოთა მესვეურებმა მემკვიდრეობით მიიღეს ძველი სოციალისტური ფრაზეოლოგია და ტერმინოლოგია, მხოლოდ მათში ახალი შინაარსი ჩადვეს და თავიანთი ბატონობის სამსახურში ჩააყენეს. ასეთივე ბედი ეწია სიტყვა „ინტერნალიზმსაც.“ აღნიშნული პროლეტარიატის მსოფლიო სოლიდარობის მაგიერად, მისი დამახასიათებელი თვისება გახდა საბჭოთა კავშირის რეჟიმის ერთგულება და მისთვის თავდადება. ერთი სიტყვით, ინტერნაციონალიზმი სინონიმი გახდა რუსული საბჭოთა პატრიოტიზმისა.

იქნებ ვინმემ ეკვი შეიტანოს ჩემ სტყვეებში, ამიტომ სრულად მოვიყვან ამ სიტყვის საბჭოური ენციკლოპედიის განმარტებას:


„**ინტერნაციონალიზმი**—მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობა.

ინტერნაციონალისტი—ინტერნაციონალიზმის იდეების დამცველი.

„ინტერნაციონალისტი ის არის, ვინც უსიტყვოდ, უყოყანოდ, პირობების წამოუყენებლად მზად არის დაიცვას სსრ კავშირი, იმიტომ, რომ სსრ კავშირი არის მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ბაზა, ხოლო ამ რევოლუციური მოძრაობის დაცვა, წინ წაწევა შეუძლებელია, თუ სსრ კავშირი არ დაიცავი.(სტალინი. ქარ. განმარტებითი ლექსიკონი)“.

სტალინის კულტი დავამეს, მისი ლემი მავსოლუმუმიდან გამოათრეის და სილაც მიწაში ჩაფლეს, მაგრამ ინტერნაციონალისტის ეს სტალინური განმარტება უცვლელი დარჩა, რადგან ის უპასუხებს არა მომავლად პირთა ინტერესებს, როგორც სტალინი იყო, არამედ „უცვლად საბჭოთა რუსეთის“ ინტერესებს. რადგანაც იგია ყველაზე ცბიერი და საიმიდო იარაღი, ერთი მხრით, უყვე დაპყრობლ ერთა გარუსებისათვის და, მეორე მხრით, ჯერ დაუპყრობ ხალხთა, მომავალში დაპყრობის გასასულიებლად.

მართლაც, საბჭოთა რუსეთის სახელმწიფო ინტერესებია, საბჭოთა კავშირში მოქცეული არარუსი ერების ტერიტორიული საზღვრების მოშლა, ერთი და განუყოფელი საბჭო-



თა სახელმწიფოს დემოკრატია-ვადაძეობა, ერთი-რუსული ენით, ერთი-რუსულ საბჭოთა კულტურით, ერთი ეკონომიით, ერთი სოციალური მდგომარეობით, ერთი სიტყვით, ერთი-რუსული პოლიტიკით. ამ მიზნის მისაღწევად კრემლის გააჩნია სათანადო სამხედრო და პოლიტიკური აპარატები, მაგრამ ესენი არ კმარან და აქ მას იშვიათ სამსახურს უწევს ბურჟუაზიის მოცილი კომუნისმიის იდეალები, და, რაც მთავარია, უკვე მრავალნადადი ინტერნაციონალიზმი.

იგივე კომუნისმიისა და ინტერნაციონალიზმის დროში, საბჭოთა კავშირის დღევანდელი საზღვრები სულ უფრო და უფრო უნდა გაფართოდეს, და ბოლოს და ბოლოს ის უნდა გახდეს მსოფლიო სახელმწიფოდ, მსოფლიო საბჭოთა კავშირად, რომელიც მართული იქნება კრემლიდან, რომლის დედაქალაქი იქნება მოსკოვი და რომლის, არა მხოლოდ სახელმწიფო ენა, არამედ მშობლიური დედაენაც იქნება რუსული-«გენიალური ლენინის დიადი რუსული ენა.»

კრემლის საბჭოთა მესვეურების ამ ფანტასტიურ ხანაფიქრს, ჩვენ ვიმედოვნებთ, განხორციელება არ უწერია, მაგრამ მათ კი შესწევთ ძალა და გააჩნით მათ იდეოლოგიურ, არსენალში ისეთი იარაღები, რომელთა ხანგრძლივი გამოყენებით ფაქტურად მოსკონ, გაა-რუსონ საბჭოთა კავშირის დღევანდელ საზღვრებში მოქცეული არარუსი ხალხები, თუ ამ ხალხების პატრიოტი შვილები არ გამოიჩენენ დიდ გონიერებას, წინდახედულებას და სიმტკიცეს. არავის და არაფრის იმედით არ უნდა ვიყოთ ჩვენი ერის ამ უზენაესი საფრთხის თავიდან ასაცილებლად, არ არსებობს სხვა ზე-მხსნელი, ვარდა ჩვენი ხალხის პატრიოტიზმისა და ყველა შეგნებულ ქართველის მოვალეობა დაიცვას იგი ჩვენი ეროვნული მტრების ხელყოფისაგან, წარყვანა-წაბილწვის მცდელობისაგან.

საბჭოთა იდეოლოგიამ კარგად იცის რომ მას არ ძალუძს პირდაპირი ფრონტით ნაციონალური პატრიოტიზმის დამარცხება, ამიტომ ის ეძებს მუხანათურ საშუალებებს მის ნელი-ნელ დასასუსტებლად და ამისთვის ის უხვად იყენებს ინტერნაციონალიზმს.

ჩვენ არაფერს ვამბობთ არც იმ პარტიებზე არც იმ იდეოლოგიებზე, რომლებსაც საბჭოთა პროპაგანდა ბურჟუაზიულს უწოდებს, არამედ თვით კომუნისტურ იდეოლოგიებზე, როგორებიცაა იუგოსლავიის, ალბანეთის და ჩინეთის კომუნისტური იდეოლოგიები, ესენიც კი ვერ ევფებიან საბჭოურ ინტერნაციონალს და სამკვედრო-საციოცხლო ბრძოლა აქვთ მასთან გამართული. საბჭოური ინტერნაციონალიზმისა და ეროვნული პატრიოტიზმის შეუთავსებლობის ცოცხალი მაგალითია აღმოსავლეთ ვერპოის კომუნისტურ რეჟიმებში მცხოვრებ ხალხების შეუპოვარი ბრძოლები თავი იხსნან საბჭოური ინტერნაციონალისაგან. თუ ისეთი მრავალრიცხოვანი, შუაევროპული, სარწმუნოებრივად და ეროვნულად მტკიცედ შეკრული ერი, როგორც პოლონეთია, რომელსაც ახლო მომავალში გარუსების საფრთხე არ ემუქრება, ასე გააფთრებთ იბრძვის რათა თავი იხსნას რუსული ინტერნაციონალიდან, მაშინ რაღა ითქმის ჩვენისთანა სამ მილიონიან, დასავლეთის ცივილიზაციიდან შორს მყოფ, ორს მილიონიან რუს-სლავიანურ ოკეანეში მოქცეულ ერზე.

„საკმარისია წავიძინოთ, განქარებება ჩვენი ხსენება“, ამბობს პოეტი და სწორედ ეს წამაძინებელი ქაფურია საბჭოური ინტერნაციონალიზმი.

არა, უფალო შევარდნაძე, საბჭოური ინტერნაციონალი და ქართული პატრიოტიზმი არიან შეურთებელი მცნებები, მათი ერთად ცხოვრება ისე შეუძლებელია, როგორც ორი ასპიტისა ერთსა და იგივე ბოთლში-ერთ-ერთმა მეორე უნდა შეკვამოს. არჩევანი თქვენზეა: ბრძანდებით ინტერნაციონალისტი, თუ ბრძანდებით ქართველი პატრიოტი, რადგანაც, იყოთ ერთიც და მეორეც, ნიშნავს ან სიბრძიყვეს, ან თაღლითობას.

გიორგი წერეთელი

ლანის ვილარი. სექტემბერი 1981.

*** * * * * *

უკანასკნელი ცნობები

-მარტის პირველ რიცხვებში მოსკოვიდან მიღებული ცნობებით ზვიად გამსახურდიამ 3 დღით შიმშილის გაფიცვა გამოაცხადა სინდისის თავისუფლების დარღვევების საპროტესტოდ. გამსახურდია და მისი მხარდამჭერი მორწმუნეები აღშფოთებული არიან იმის გამო, რომ ხელისუფლება ყოველმხრივ ხელს უშლის რელიგიურ დღესასწაულების ჩატარებას. ასეთ ხელის შეშლას ადგილი ჰქონებია, სხვათა შორის, სვეტიცხოველის ტაძარში ქრისტეშობის

ენციკლოპედია

დღესასწაულის ჩატარების დროს.

-11 თებერვალს თბილისში დაუბატიმრებიათ მსოფლიოში ცნობილი სომეხი კინორეჟისორი სერგო ფარაჯანოვი. მას ამჯერად ბრალს სდებენ სპეკულანტობაში. ფარაჯანოვი ცნობილია როგორც არაკონფორმისტი კინორეჟისორი. 1974 წელს ის დააპატიმრეს მამათავალონის და პორნოგრაფიის გავრცელების ბრალდებებით. მიესაჯა ხუთი წლით პატიმრობა, რომელიც მან მოიხადა დნეპროპეტროვსკის მკაცრი რეჟიმის ბანაკში. 1977 წ. დეკემბერში გაანთავისუფლეს, რის შემდეგ ცხოვრობდა თბილისში, მხოლოდ კინემატოგრაფიაში დაბრუნების ნება აღარ ჰქონდა.

Djibadze's Library

„ენკორუბტილს“ * შევადნაძე?*

ამბავი პირველი. თბილისის საპაერო პორტში ვარ, უნდა გავფრინდე მოსკოვში. ღრუბლიანი ამინდის გამო ჩემი თვითმფრინავი 2 საათით იგვიანებს. დროს მოსაკლავად ჰაეროდრომის რესტორანში შევედი. ცოტა ხნის შემდეგ იქ შემოდის ჰაეროპორტის მილიციის განყოფილების უფროსი, რომელსაც მე კარგად ვიცნობდი. მოსალმების შემდეგ, მაგიდასთან მოვიპატიე, მაგრამ მილიციის განყოფილების უფროსმა უარი მითხრა: „არ გეწყინოს, მიხაკო, თუ ძმა ხარ, ელუარდ შევარდნაძე (შამინ შინაგან მინისტრი) აცილებს სსრკ-ის შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგს, და მას კონიაკები უნდა მივუტანო.“ ის შევედა რესტორნის ღირექტორის კაბინეტში და ცოტა ხნის შემდეგ, როცა იქიდან გამოვიდა, ხელში ეჭირა ქალაღში შეხვეული კონიაკის ბოთლები.


ამ ამბის შემდეგ, როცა ჩემს ნაცნობ მილიციის განყოფილების უფროსს კიდევ შეგხვდოდი, მან გაიხსენა ის შემთხვევა და მითხრა~ „მამინ ძალიან გავაცინე ედ. შევარდნაძეო.“ როგორ მეთქი? „როგორღა შევარდნაძემ ორი ბოთლი კონიაკი მომთხოვა მოსკოველი მინისტრისათვის, მე კი ოთხი მივუტანე. ელუარდმა მითხრა: მე ხომ ორი ბოთლი გითხარო. მე მივუთხე: ორი ბოთლი გზაში არ ეყოფა, სახლში რაღა უნდა მიიტანოს თქვა. ამ პასუხმა ძალიან აცინა შევარდნაძე“-ო. მე ვკითხე, კონიაკების ღირებულება თუ მაინც გადავიხადა მეთქი. არაო, მიპასუხა, მაგრამ კიდევაც, რომ მოეცა, მე არ ავიღებდიო. რა უშავს, რესტორანი გაუძღვბო. გამოვიდა: მილიციის განყოფილების უფროსმა კონიაკებით მომხაღლიერა საქ. შინაგან საქმეთა მინისტრი. ამ უკანასკნელმა, იგივე კონიაკებით, თავისი მოსკოველი უფროსის ვული, ხოლო კონიაკების ღირებულება დაფარა რესტორანის ღირექციამ. რესტორანს საიდან უნდა აენაზღაურებია ეს და ამის მსგავსი სხვა ხარჯები, თუარა მისი მომხმარებლებისაგან?!

ამბავი მეორე. იმხანად თბილისში გამოვიდა და დიდ მოღაში იყო ქალის გერმანული პალტოები. ცოლი შემომიჩნდა მეც მიყდევო. გადამყიდველებთან ძალიან ძვირი ღირდა. ცეკავშირის ერთ საწყობში ნაცნობი მყავდა, მივედი მასთან და ვთხოვე იქნებ მოეცა ჩემთვის ერთი პალტო. სანამ პალტოს შემიხვევდა, გაისმა ტელეფონის ზარის ხმა. საწყობის გამგემ ყურმილი აიღო და პასუხობს: „მისმა ბჭმა გუშინ ინგლისური კოსტიუმი წაიღო; მისმა მოადგილს ცოლმა ამ დღით ქალის გერმანული პალტო წაიღო...კი ბატონო. არა, არ ავიღებ ფულს.“ ამის შემდეგ, შემიხვია ჩემი პალტო, მომწაოდა და მითხრა ფასი, რაც ძალიან მეძვირა. ვუთხარი მეტის-მეტია მეთქი. იმან მიპასუხა: „ჩემო მიხაკო, ახლა რომ დამირეკა ცეკავშირის თავმჯდომარე იყო. შევარდნაძის ავტომობილის მძღოლი მოვა და მიეცი ქალის გერმანული პალტო, გუშინ მისმა ბჭმა ინგლისური კოსტიუმი წაიღო...რა გქნება, საიდან ავიანაზღაურათ, თუ შევინისთანა ხალხისაგან არა?!

აღარაფერი მეთქმოდა. მოთხოვნილი ფასი გადავიხადე და წამოვედი. გარეთ რომ გამოვედი, საწყობს მოადგა შევარდნაძის ავტომანქანა, რომლიდანაც მძღოლი გადმოვიდა. მანქანაში ვიღაც ქალი იჯდა; არ ვიცი ვინ იყო; მე არასოდეს არ მიანახავს შევარდნაძის ცოლი.

მიხაკო

*ლათინური წარმოშობის ფრანგული სიტყვა, რომელიც პოლიტიკურ ტერმინოლოგიაში ნიშნავს „გაურყვენლს“, „მოუქრთამავს.“ საფრანგეთის დიდი რევოლუციის ლიდერს რობესპიერს ზედმეტ სახელად უწოდებდნენ: ენკორუბტილს.



—**ეს კორესპონდენცია დაგებულდეთ არა იმ მიზნით, რომ საბრალდებულო სკამზე დასველი-
 ან განვაქიქოთ საქ. კ.პ.ც. კომიტეტის პირველი მდივანი, არამედ გვინდა ამ ცოცხალმა მკვლავმა
 ლითით ვაჩვენოთ, რომ ჭრავინ არ არის დაზღვეული ამ სენისაგან საბჭოთა საზოგადოებაში.
 შევარდნაძე, როცა ბრეჟნევიმა მის ღღევანდელ პოსტზე დანიშნა, წარმოდგენილი იყო როგორც
 „სპეტაკი კომუნისტი“, რომელსაც საქართველო უნდა გაეწმინდა კორუპციისაგან. მას შემდეგ
 ათი წელი გავიდა, მაგრამ სიტყვების კორიანტელის მეტი არაფერი შეცვლილა. ვერც შეიცვლე-
 ბოდა, რადგანაც ესეც და სხვა მრავალი სენიც რეჟიმის ბუნება-ხასიათიდან მომდინარეობს
 და მათ პიროვნებების შეცვლით არა ეშველება რა. ადმინისტრაციის საკორთულ დამსჯელი
 ორგანოების გარდა, საქიროა, თავისუფალი და დამოუკიდებელი პრესა, ოპოზიციური პარტიები,
 ხალხი, ხალხი პოლიტიკურად თავისუფალი. ასეთი ცვლილებების მოხდენა საბჭოთა რეჟიმს არ
 შეუძლია და ამიტომ: ძმობიჭობა, მექრთამეობა, თანამდებობებით და თვით დიპლომებით ვაჭრო-
 ბა, სპეკულაცია და სხვა მისთანანი, მისი მოურჩენელი სენია. „თ.ტ.“

*** **

მუხრან მაქავარიანი

გ ა გ ი მ ა რ ჯ ო ს ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო გ ! *

„...დღეს ვეებერთელა პასუხისმგებლობა ეკისრება სკოლას, ლიტერატურას, მეცნიერებას,
 ხელოვნებას, ადამიანის ზნეობრივი ფორმირება, როგორც იტყვიან, აკვირიდანვე იწყება. ყმაწ-
 ვილის აღზრდაში თუ თავიდანვე დაეუშვით რაიმე შეცდომა, მეტე იმის გამოსწორებაზე ლა-
 პარაკი ზედმეტია.

ვაუშინებლად მიმაჩნია, რომ უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად ანგარიში ეწევა
 საშუალო სკოლის ატესტატის ნიშანს. მართალია ამაზე იყო ღრმა მეცნიერული ხასიათის მსჯე-
 ლობა, გამოითქვა არაერთი დასაბუთებული მოსაზრება, მაგრამ რატომღაც ეს ფრიალ მტკივნე-
 ული საკითხი დღემდე არაა ისე გადაწყვეტილი, როგორც საქიროა. ამ ექსპერიმენტს თეორიულად
 ჰქონდა თავისი დადებითი მხარე, მაგრამ პრაქტიკამ ცხადჰყო, რომ უარყოფითმა მხარემ
 დასძლია დადებითს.

ყოველმა კაცმა მშობლიური ენა ბავშვობიდანვე უნდა შეისისხსხორცოს, ამისათვისაა მო-
 წოდებული ჩვენი სკოლაც. ამიტომაც გამოიტანა საქ. კ.პ.ც. კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ
 საგანგებო დადგენილება „რესპუბლიკის სასწავლებლებში ქართული ენისა და ლიტერატურის
 სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებითა შესახებ“. მაგრამ, უკეთუ ჩვენი
 ჩვენი დედაენის მოვლა, გამდიდრება და განვითარება ნამდვილად გვინდა, მაშინ ამ დიდებულ
 დადგენილებასთან დაკავშირებით აუცილებლად, ხაზგასმით უნდა ითქვას ერთი ფირა მნიშვნე-
 ნელოვანი რამ:

„სკოლებში მშობლიური ლიტერატურის შესწავლა, გაცნობა ლექსებისა და მოთხრობებისა,
 დედაენის მხოლოდ ერთ მხარეს ათვისებინებს მოსწავლეს. სხვა მხარეები ენისა კი ხელუხლე-
 ბელნი და დავიწყებული რჩებიან. ენა, რომელზედაც მეცნიერება არ არსებობს, დიდხანს ვერ
 იცოცხლებს, თუნდაც ბლომად ჰქონდეს ლექსები და მოთხრობები. ხოლო მეცნიერება მაშინ
 იზადება და იზრდება რომელსავე ენაზე, როცა ამ ენაზე მიმდინარეობს საგნების სწავლება
 ყოველგვარ სასწავლებელში“.

როცა დიდი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი ამას წერდა, მასთან სწავლება ქართულ სკოლ-
 ბში რუსულად იყო. დღეს ჩვენს სკოლებში ყველა საგანი ქართულად ისწავლება, მაგრამ,
 ვაი, ამ ქართულს! სახელმძღვანელოების უმრავლესობა(ისტორიის, გეოგრაფიის, ქიმიის, ფიზი-
 კის, მათემატიკისა და სხვა) თარგმნილია. ეს კიდევ არაფერი! საქმე იმაშია, რომ თარგმანი
 შესრულებულია ყოველად უმსგავსო, უხეირო ქართულით, იმდენად ბნელი ენით, რომ აზრის
 გამოტანა არამც თუ მოსწავლეს, სპეციალისტსაც კი გაუჭირდება. ამგვარი სახელმძღვანელო
 არა მარტო ენობრივი თვალსაზრისით ვერ ამართლებს თავის მოწოდებას, არა მარტო ცოდნის
 შესაძენადაა უფარგისი, არამედ, რაც მთავარია, მოსწავლეს გულს უტრუებს საგანზე.

„წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავლისა!“—ბრძანებდა
 დიდი ილია. „ისტორია ადამიანის მსოფლმხედველობას აფართოვებს და იმავე დროს საქირო
 სიღრმესა და საფუძვლიანობას ანიჭებს.“—ამბობს ივანე ჯავახიშვილი.

ის რა კაცია, ვინც საკუთარი ქვეყნის წარსული არ იცის! როგორ?! განა იმისთვის



იბრძოდნენ წარსულში მიამა-პაპანი, დღეს შევიღმა აღარ იცოდეს სისხლით დატულია ჩინური
 ლი?! საიდან ეცოდინება, თუ არ ვასწავლეთ?! განა ის სწავლებაა, ჩვენ რომ სასწავლებელს
 იატორიას ვასწავლით საშუალო სკოლაში?! ნუ დაგავიწყდება, რომ ხელაზზე ჩვენი დღევან-
 დელთავე ისტორიაა, და როგორია საქმე იქნება, რომ ჩვენმა შთამომავლობამ თავის შვილებს
 და შვილთაშვილებს ასე ხელმოკერილად, ასე ძუნწად ასწავლოს ჩვენი დღევანდელი მღუღარე
 ცხოვრება!

ყოველგვარი შედეგათის გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ნამდვილად ნიჭიერი და განა-
 თლებული ლიტერატურული ახალგაზრდობა გვყავს. მათ თუ რაიმე აკლიათ, მხოლოდ გამოცდილება
 ამის გამო ისინი, ასე ვთქვათ, გზაჯვარედინზე დგანან. სწორედ აქაა საჭირო კრიტიკოსის
 გამოცემითი პოზიცია; ერთიკამ უნდა უთხრას, დააწმუნოს შემოქმედი ახალგაზრდობა, რო-
 მელი გზაა სწორი, რომელი-არა.

რა დასამაღია, რომ ჩვენი ცხოვრების გარკვეულ პერიოდში დაშვებულმა მიუტეველებმა
 შეცდომებმა ადამიანი სულიერად დაასახიჩრა. ამჟამად დიდი მონდომებით მიმდინარეობს ამ
 ზნეობრივი კინის განკურნებისათვის ბრძოლა. მოგახსენებთ, დაავადება სწრაფად ხდება, გან-
 კურნებას ეს დრო სჭირდება. განუზომელია ამ საქმეში ლიტერატურისა და ხელოვნების როლი.
 არათუ რომანს, არათუ კინოსურათს, არათუ სპექტაკლს, არათუ პოემას, კინოსურათის ერთ
 კადრს, ლექსის ერთ სტრიქონსაც კი, უკეთუ მას ჭეშმარიტი ნიჭის ბეჭედი აზის, შეუძლია
 ადამიანის, განსაკუთრებით მოზარდის მთლიანი გადასხვადგერება!

ქართული ენის გამდიდრება-განვითარებისათვის საჭიროა დიდი მთარგმნელობითი მუშაობა.
 სამარცხვინო არაა, რომ დღეს დღევანდელ საქართველოში, მსოფლიო შედეგების მხოლოდ
 ათი-თხუთმეტი პროცენტია თარგმნილი?! ეს მაშინ, როცა თითქმის ყველა ენიდან შეგვიძლია
 თარგმნა, გვყავს სათანადო სპეციალისტები.

დიდი მადლობა ეკუთვნის ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, რომ შეიქმნა მთარგმნე-
 ლობითი კოლეგია, დაარსდა აღმნახი „საუნჯე“, ორივე, - კოლეგია და აღმნახი ამართლებს
 თავის დანიშნულებას. ბევრი უნდა ვთარგმნოთ, კარგად უნდა ვთარგმნოთ, კვალიფიციურად,
 მაგრამ ამისთვის ლექსიკონებიც ზომაა საჭირო?! მით უფრო, რომ თავისთავად ლექსიკოგრა-
 ფიის, როგორც დარგის, მაღალი დონეც განსაზღვრავს ენის გამდიდრება-განვითარების დონეს.
 ავია თუ კარგი, გვაქვს რუსულ-ქართული ლექსიკონი, გვაქვს „ქართული ენის განმარტებითი
 ლექსიკონის“ რეატომეული, გვაქვს „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“, გვაქვს არაერთი დია-
 ლექტური და დარგობრივი ლექსიკონი, ნამდვილად ეროვნული საქმეა, რომ გამოადის ქართული
 საბჭოთა ენციკლოპედია, მაგრამ პირდაპირ საოცარია, რომ ჩვენ დღემდე არ გვაქვს დიდტანი-
 ანი, მრავალსიტყვიანი ქართულ-რუსული, სომხურ-ქართული, სპარსულ-ქართული, ბერძნულ-ქარ-
 თული, არაბულ-ქართული, აფხაზურ-ქართული, ესპანურ-ქართული, იტალიურ-ქართული ლექსიკო-
 ნები. ჩვენი ხალხის მრავალსაუფუნოვანი ისტორია, ჩვენი ენის განვითარების უზანგარდოვესი
 პერიოდი, ავად იყო თუ კარგად, სწორედ ამ ენებზე მოლაპარაკე ხალხებთან იყო დაკავშირე-
 ბული, ამ ხალხებთან მოუწია ჩვენს წინაპრებს მთელი თავისი ცხოვრება და მოღვაწეობა,-
 და სხვა რომ არა იყოს რა, ნუთუ ეს მიანიც არ კმარა, რომ ჩვენ ეს ლექსიკონები გვქონდეს?!

ერთი ღვთისანაბარა კაცი იყო სულხან-საბა ორბელიანი და იმან შექმნა ბრწყინვალე ლექ-
 სიკონი, -ერთმა კაცმა! და დღეს, როცა ამდენი ინსტიტუტი გვაქვს, ამდენი შესანიშნავი მე-
 ცნიერი გვყავს, განა ეს საშვილიშვილო საქმე დამთავრებული თუ არა, დაწყებული მიანიც
 არ უნდა იყოს?!

მაგრამ დღევანდელი განწყობილება და ის ფაქტი, რომ ამ ზეიმზე გამოსული ყველა
 ორატორი (ჩემი ჩათვლით) არა მარტო ამაყად ლაპარაკობს ჩვენს წარმატებებზე, არამედ ამა-
 ვდ დროს ძველბურთად არ მალავს იმ ნაკლებანებმსაც, რაც ჯერ კიდევ გვაქვს, - იძლევა სრულ
 გარსიანობას, რომ საქმე მომავალში უტეკლად იქნება! ჩვენ დღეს ვზეიმობთ, ვხარობთ ჩვენი
 წარმატებებით. მოდით, გაუმარჯოს ამ სიხარულის შენარჩუნებას! ამ სიხარულის აღმავლობას
 გაუმარჯოს! ბედნიერება ვუსურვოთ ჩვენს ლამაზ სამშობლოს, თავისი ქალითა, კაცითა, დიდი-
 თა, მცირითა, მთითა, ბრითა, წყლითა, ზვრითა, სახნავითა, ქურითა, მარნითა, უძებრითა და
 საძებრითა, -ყოველითურთ უნაკლოდ და მოუკლებლად!

კიდევ უფრო, კიდევ უფრო
 იღორძინე, საქართველოვ,
 კიდევ უფრო ბევრი შვილი

გამოზარდე სასახლო,
 კიდევ ერთი რუსთაველი
 სიბრძნელო, კარგად
 გველოცე, კიდევ ერთხელ აამდგო,

Djabadze's
 Library

Handwritten mark or signature on the left margin.



შენც იხარო, ჩვენც გვახარო,
გამხნევდე და გაგვამხნეო,-
გევალება, საქართველოც,

შეგიძია, საქართველოც,
გავიმარჯვოს, საქართველოც!

მუხრან მაჭავარიანი.
(„კომუნისტი“ 7.3.1982.)

*მუხრან მაჭავარიანის (პოეტი, მწერალი, ჟურნალისტი) ეს სიტყვა წარმოთქმულია საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე სოც. შეჯიბრების გამარჯვებულთა მონაწილეობით ამ წლის პირველ მარტს, მისი შესავალი, როგორც საბჭოური წესისა, შექებაა „რესპუ. ბლიკის დღევანდელი ხელმძღვანელობის“, ხოლო ამ ხარკის მოხდის შემდეგ, ურომლისოდაც ვერც სიტყვა ითქმებოდა და, მით უფრო, ვერც დაიბეჭდებოდა, მთელი სიტყვა დასაბუთებელი ღრმა შინაარსიანი კრიტიკაა, საერთოდ კულტურის დარგში არსებულ ნაკლოვანებათა. ამიტომ იგი მთლიანად, სიტყვა-სიტყვით გადმოვებუდეთ, რადგანაც, ჩვენი აზრით, ეს სიტყვა ჩვენი მკითხველებისათვისაც საინტერესო და საყურადღებოა.

რუსთაველის თეატრი ავინიონში
(დასასრული. დასაწყისი იხ. წინა ნომერში)

„ქართული ბრეხტი და შექსპირი“ („ლე მონდ“. 29.7.1981.)

„ავინიონში მოწვეულმა თბილისის რუსთაველის აკადემიურმა თეატრის მსახიობებმა ეზოში ითამაშეს ბრეხტის „ცარცის წრე“ და შექსპირის „რიჩარდ მე-3ე. მათ ჰქონდათ შესაძლებლობა მხოლოდ ერთჯერ ეჩვენებინათ თითოეული პიესა, რამაც, სამწუხაროდ შემოფარგლა გამოძახილი. ორივე სპექტაკლს, რომლებიც ძლიერ ჰგვანან ერთმანეთს, ჰყავს ერთი და იგივე დირექტორი რობერტ სტურუა. ისინი არიან ცოცხალი მიზანსცენები, მოკლებულნი გამოგონებებს, ტიპური სახეებით და გასაგები სცენიური თამაშით. ეფექტს აძლიერებენ კოსტიუმები და გარემოები, და ბრეხტი და შექსპირი, ორივე წარმოდგენილია მსუბუქ, ფერადოვან და ხალხურ მელოდრამად.

ყველაზე უფრო სადავო შეიძლება იყოს მუსიკა, რომელიც ძალიან უხვადაა წარმოდგენილი და რომლის ორკესტრაცია ცურობს კლოდ ლელუშისათვის ჩვეულ და რომელიმე შარმის კაფ'კონც'-ს შორის: მომთენთველი მისამღერები, მოხეტიალე მიკრო, ყელისმიერი ხავერდოვანი ხმებისათვის.

ჩვენი თბილისელი მეგობრები, რომლებიც, თითქმის ყველა, მიმართავენ მაყურებლებს, არაფერს ზოგავენ, რომ ყურადღება მიიპყრონ. ისინი სხასაცილონი არიან, გულთთ ეკიდებიან თავიანთ საქმეს და, მიუხედავად იმისა, რომ ერთი სიტყვაც არ ესმის, მაყურებელი მიჰყვება მათ.

დასის ვედვტია დიდი გამომსახველობის არტისტი, რომელიც თითქმის თავის თავს ბაძავს არა ცუდი გონებასახვილობით და, რომელსაც თვალისმომპრული შუქი თანსდევს მის ყოველ ვესტს, თითქმის მისტენგეტი იყოს, ან სხვა მუზიკოლოს დივა. მას ჰქვია რამაზ ჩიხვაძეც. პააების სასახლეში, რიჩარდ მესამესა და აზღვიკის როლეზში, დიდი მოწონება ხვდა. ბევრ მის ამხანაგს მისგან განსხვავებული, უფრო შინაგანი, განცდის კონცეპცია აქვთ თავიანთი ხელოვნებისა.

ქართველები ძალიან საყვარელი ხალხია. იოსებ ჯულაშვილის, რომელსაც შემდეგ სტალინი ერქვა, ქართული წარმოშობა შემთხვევითი წყველაა მათ თავზე, რასაც ისინი გულდამშვიდებით ვერ იტანენ. ქართველები მათი შესაძლებლობის ფარგლებში გონიერად და ვაჟკაცურად იცავენ თავს ანექსიის სიმძიმისაგან, მაგრამ ჩვენ აქ არა საკმარისად ვართ გათვითცნობიერებული მათი ამ ვაჟკაცობის აქტების შესახებ. მათ მულად ჰქონდათ ჩვენი ქვეყნისადმი, ჩვენი ლიტერატურისადმი განსაკუთრებული სიმპატიები. როცა ისინი წარმოდგენდნენ საზღვარგარედ ისეთ თეატრალურ სპექტაკლებს, რომლებიც ჩვენ გადაჰარბებულ „სასაცილოდ“ შეიძლება მოგვეჩვენოს, როცა ვადარებთ ჩვენს ვაბედულ სიახლის ძიებებს, ეს უნდა დავაბრალოთ მათ მარტობას, უზომო ტანჯვას და რომ ისინი საჭიროებენ ჩვენ ღრმა მეგობრობას და სულგრძელ გაგებას.

მიშელ კურნო“



„კავკასიური ცარცის წრე“ („ლე პროგრესი“ 27.7.1981.)

ქართული დღესასწაული

„ცარცის წრე“ ქართულ წვენიში, ესაა ბრეხტი წარმოდგენილი მუსიკალურ კომედიაში, მცირე ბალეტში, საცირკო ნომრებში, ყველაფერი წარმოდგენილი შანსონტების წამყვანი-საგან მიკროთი.

თეატრის დასის კომიკები ფუნჯის მზგავსად, ჯარისკაცი სიმონ ჩაჩავა, რომლის შესახებაონა მოგვაგონებს მიშელ სტროგოვს, ცარცის შიკრიეს, გრულს მომხიბლავი, რომელიც თამაშობს ბალერინას მიხვრა-მოსვრით და ლამაზი ქესტით, მოსამართლე აზღევი-რამაზ ჩხიკვაძე-დიდებული კომედიანტი, მდიდარი ექსპრესიონისტი ტრადიციებით რუსული თეატრის ბუფონებისა.

თავიდან გადიზიანებას იწყებს მუზიკ'პოლის პრანჭიობა, ცული გემოვნება, ძველი თეატრის სტილი, თვალის ჩაკვრა მაყურებლების მისამართით, მაგრამ შემდეგ რუსთაველის თეატრის სპექტაკლში ისეთი გულუბრყვილობაა, ისეთი ხალხური დიდსულოვნება, ისეთი ერთობა გრძობათა უმანკოებისა, ცოდნისა და თვით ცბიერებისა მათ ხელოვნებაში, რომ უნებურად ეძლევი თქვენი ამ დღესასწაულს, სადაც გული იგებს ღირსების უბედობათა შემდეგ.

საწყება ჯარისკაცი, პრინცი ბავშვით მხრებზე, რომელიც ხალხს მიაბარეს, მიდის გრულსასთან ერთად, თავდაბალი და ერთგული. აზღავი, კეთილი მოსამართლე ლოთი, რომელსაც ოცადიას უმართავს გულჩვილი მხიარული ხალხი, საჯაროდ იხდის მოსამართლის მოსახსამს, მუსიკაცეკავს და ყველა კმაყოფილია...

ჟან-ჟაკ ლერან "

ჩემი პირადი შეხედულება

წინა ნომერში მე აღვნიშნე თუ როგორ შეხვდა მაყურებელი ავინიონში რუსთაველის თეატრის სპექტაკლებს. მოვიყვანე გაზეთ „სამშობლოს“ ცნობა იმ მხურვალე ოვაციის შესახებ, რომელიც მაყურებლებმა მსახიობებს გაუმართეს და ვთქვი, რომ ეს რუსული სიმართლეთქვა. მაგრამ, ახლა ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ეს გაზეთი და საერთოდ ქართული საბჭოთა პრესა შეტრამეტად აზვიადებს ამ სპექტაკლების წარმატებას. ამ გაზეთების დამახასიათებელი მაგალითია თვით წერილის სათაური: „ავინიონი აღფრთოვანებულია.“ არა, აღფრთოვანებას და ტრიუმფს ადგილი არ ჰქონება, მაგრამ არც სამარცხვინოდ არ ჩაღლაგებულან. „სამშობლოს“ მოჰყვას ფესტივალის დირექტორის ბ. ბერნარ არსენი განცხადება, სადაც, სხვათა შორის, ისიცაა ნათქვამი, რომ: „... ეს არის ქვეშაობრივად ქართული სპექტაკლი, რომელიც ყველაფრით ამართლებს თავისი დიდი სამშობლოს სახელს(?)...“ როგორ შეიძლება „ქვეშაობრივად ქართული სპექტაკლი“ ეწოდოს ინგლისელ უილიამს შექსპირის და გაამერიკებული ავსტრიელი ებრაელის ბერტოლდ ბრეხტის წარმოდგენ თეატრს. ამის პასუხისმგებლობა ბ. არსენსათვის დადევინოვანი, მხოლოდ ბატონმა არსემ კი უნდა იტოვდეს, რომ ქართველებს ერთადერთი სამშობლო გვაქვს, პატარა სამშობლო, მაგრამ ჩვენ იმიტაც კმაყოფილი ვართ სხვები რომ გვანებებდენ მას და იმის გარდა ჩვენ სხვა დიდი სამშობლო არ გავაჩინა და არც გვსურს მისი ქონება.

დასასრულს, იგივე გაზეთი „სამშობლო“ წერს: „სპექტაკლებს ფართოდ გამოეხმაურა საფრანგეთის პრესა“-ო. სამწუხაროდ ეს სრულებით არ გამოხატავს სინამდვილეს. ვამბობ სამწუხაროდ, რადგანაც „სამშობლო“ ნუ იფიქრებს, რომ მას ჩვენზე მეტად გაახარებს ქართული თეატრის საერთაშორისო წარმატება, თუნდაც ის საბჭოური იყოს. საბჭოები წავლიან, ქართული თეატრი კი დარჩება ქართველ ხალხთან და მან თავის მისია რომ შეასრულოს, ესაჭიროება სწორი, მუდგომელი შეფასება-კრიტიკა და არა ქათიშაურები, ღითიარამები ტრიუმფებითა და სენსაციებით.

სპექტაკლების ჩატარების მომყოლ დღეებში გადაციცებით ვადვენებდი თვალს ფრანგულ პრესას. გამოხმაურება ძალიან სუსტი იყო. მთელმა რიგმა დიდმა გაზეთებმა თავი შეიკავეს. არაფერი არ დაწერეს. ორი დიდი მემარცხენე გაზეთის ლე მონდ და ლე პროგრესი-ში დაბეჭდილი მოკლე წერილები, რომელთა თარგმანებში ზემოდაა გამოქვეყნებული, მეტად სიმპატიურია, მაგრამ ესაა და ეს, „ტრიუმფზე“ და „აღფრთოვანებაზე“, ლაპარაკი ზედმეტია.



სანამ დადგმას შეეცებოდე, უნდა ეთქვა, რომ მე პირადად დრამატული თეატრის კლუბის ჩვენება ენის უელონარ მაყურებლებისათვის არამიზანშეწონილად მიმაჩნია. კუთრებით ღია ცის ქვეშ, ესტრადაზე, თუნდაც წყნარი და თბილი დარი იდგეს, ავნიონში კი იმ დღეებში ჰქროდა საშინლად ცივი ქარი. აღმა ამის გამო, თბილისის დრამატული თეატრის საუცხოო პროფესიონალი მსახიობები მიმართავდნენ ისეთ ხერხებს, რომლებიც ცირკს, უკეთეს შემთხვევაში, კომედიას ახასიათებს. დრამატულმა თეატრმა მსოფლიო სახელი და აღიარება ადგილზე, თავის თეატრში უნდა მოიპოვოს.

ავნიონში პირველად ნაჩვენები იყო „კავკასიური ცარცის წრე.“ თუ ტაშის მხურვალეობა და ხანგრძლივობის მიხედვით ვიმსჯელებ, ფრანგმა მაყურებელმა ეს პიესა უფრო მოიწონა, ვიდრე შექსპირის „რიჩარდ მესამე“. თეატრი მხოლოდ გასართობი არ უნდა იყოს, ის უნდა ემსახურებოდეს მაყურებელთა სულიერ აღზრდა-ამაღლებას. ამ გაგებით ამ პიესის არჩევა გაუმართლებლად მიმაჩნია. ბერტოლდ ბრეხტის ამ პიესაში ვერავითარ ამაღლებულ იდეას ვერ ვხედავ. პიესა დაწერილია კლასთაშორის ბრძოლისა და ანტაგონიზმის სულისკვეთებით. ბრეხტს ამ პიესის სიუჟეტი ჩინური ანბიდან უსესხებია და მთავარი იდეა გადაუყარავებია. ჩინურ ამბავში ბიოლოგიური დედა იმარჯვებს დედობილთან დავაში, „კავკასიურ ცარცის წრეში“ კი უღირსი, მაგრამ მაინც ნამდვილე, დედა მარცხდება ბავშვის აღმზრდელ დედობილთან დავაში. ამ უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხის ასეთი, ბრეხტისეული გადაწყვეტა სადავოა, რადგან მას ბოლოს და ბოლოს მივყავართ წმიდათაწმიდა დედობრივი გრძნობების შელახვამდე.

პიესა თითქოს საშუალო საუკუნოების საქართველოში მიმდინარეობს, საგარეო მტრების შემოსევებისა და კლასობრივი ბრძოლის ფონზე. ყველა მოქმედი გმირი: ლუცი, გუბერნატორი, თავადი, მღვდელი თუ გლეხი ლაჩარი და სულმდაბალია. პატრიოტული გრძნობა არ არსებობს. მთავარი გმირი აზდაკი, ადრე მასწავლებელი, რევოლუციონერი და პროგრესისტი, შემდეგ გულგატეხილი, სკეპტიკოსი, ლოთი და მეჭრთამეა. ამ სიბინძურეში მხოლოდ მზარეული ვრუშა, მისი დანიშნული ჯარისკაცი ჩაჩავა და ორიოდე გლეხის ქალი გამოიყურება კეთილშობილურად, მაგრამ ბოლოს ისინიც იძულებული არიან იცრუნონ სისამარლოს წინაშე, რაც არ შეიძლება მორალურად დასაგმობი არ იყოს.

დამდგმელ რეჟისორს პირველი მოქმედება პიესისა ამოუვლია. ბრეხტს ამ მოქმედებაში აღწერილი აქვს კავკასიის მითანეთის ორი კოლმეურნოების დავა და ურთიერთობა, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების დროს. მიუხედავად ომისაგან მიყენებული ჭრილობებისა, საბჭოთა კოლმეურნეების ცხოვრება ლადი, თავისუფალი და ბედნიერია, რომელიც მაყურებელმა უნდა კოედაროს შემდეგ მოქმედებებში ნაჩვენებ შავ-ბნელ და უნუგეულო ცხოვრებას იგივე ხალხის შორეული წინაპრებისას. მე არ ვიცი რა მოსაზრებით შეკვეცა ბატონმა სტურუამ პიესა, მაგრამ, მე მგონია, ამით წარმოდგენა იგებს, რადგანაც ის მთლიანია დროში. საერთოდ რუსთაველის თეატრის მიერ წარმოდგენილი „ცარცის წრე“ ძალიან ცოცხლად ვითარდება. როგორც დღემაც, ისე მსახიობთა თამაში არა მგონია უკეთესად შეიძლებოდეს ამ პიესისა.

მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, ბრეხტის ამ პიესის არჩევა გამართლებულად არ მიმაჩნია. წარმოდგენით აღძრული ასოციაციები, სრულ წინააღმდეგობაშია ქართული ხალხის ისტორიასთან. წარსულში ქართული თეატრი იყო ქართული ეროვნული სულის სამკვდლო და თუ ეს მოიშალა, მაშინ ქართულ ეროვნულ თეატრზე ლაპარაკი კი ზედმეტია.

რ. სტურუას მიერ დადგმული „რიჩარდ მესამე“ უმკველადაა შექსპირის ახლებური გააზრება. თუმცა ის ტექსტის მიხედვით ძირითადად შექსპირს მიჰყვება, ამავე დროს ძალიან გვაგონებს საბჭოთა დაწვევილ სინამდვილეს, სტალინის აღზევების დროისას. იქნებ ამიტომაც ინგლისელმა მაყურებლებმა ინტერესით ნახეს და ადიქვეს. იქნებ ამ მოსაზრებითაა, კოსტუმები, გრიმები და დეკორაცია „რიჩარდ მესამეს“ დროის ინგლისის არ შეეფერება.

უცნაურადაა გაშარბებული ინგლისის მეფე-დიდებულეები. ელვარდ მეოთხის ტახტი გორგოლბზე შეუყენებია და დაახრავინებენ. თვით მეფე-დედამეფეები, ტანსაცმელ ჩამოღლებული, დამთხვეულის სახით-ნამდვილი დეგენერატია. ეს არც ისტორიული სინამდვილეა და არც არავითარ საჭიროებას არ მოითხოვს.

თავის სამხედრო ლაბადით და მოკლედ შეტრეული ჭადრა თმით, რამაზ ჩხიკავაძის რიჩარდ მესამე-გლუსესტერის ლუცი გერმანული ვერმახტის გენერალს ჰვავს. მთელი მისი თამაში გარკვეან ეფექტზეა გადატანილი. ის აღწევს გადმოგვეცას რიჩარდ ტრაბახა, შეუბრალებელი, როცა საჭიროა შემპარავი და მომიზიდველი, დაჯერებული თავის თავში და



თავისი თანამზრახველების მოქმედებაში, მაგრამ, რაც მთავარია, შეგვაზაროს და შეგვეზოზლოს ეს დემონიური ადამიანი, რომელიც ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად არამზრუნენ ბორცებსას არ ერიდება და, რომელსაც ამდენი ადამიანის სისხლი ადევს სინდისს, — ვერ აღწევს. იქნებ რეჟისორს ასე უნდოდა?!

როცა საბოლოოდ მტარავალი მარცხდება და იღუპება, მასურბელმა შვებით უნდა ამოისუნთქოს, არაფერი ამის მსგავსი არ მიგრძენია. თითქოს კიდევაც დამენანა ამ სიმპატიური მოკვლელის სიკვდილი. ამის მიზეზს მივხვდი, როცა პირველად გავეცალები მსახიობს. როგორც კი ვახსენის ბავეს რამაზ ჩხიკვაძე და თავის ღიმილს შემოგაფრქვევს, მეყვსეულად იხიბლებით მისი პიროვნებით. მაგრამ, ამ ნაკლის მთავარ მიზეზად მაინც დამდგმელი რეჟისორი მიმაჩნია, რადგანაც რ. სტურუას „რიჩარდ მესამე“ შექსპირის კარიკატურაა და არა შექსპირის ტრაგედია. ბოლოს, დრამატულმა თეატრმა არა სხვა საშუალებებით, არამედ სიტყვის მაგიით უნდა დაიპყროს მასურბელი. შექსპირი მოქმედების ოსტატი არ არის, ის სიტყვის ჯადოქარია, შეგვიძლია ვთქვათ, სიტყვის ლოთია და ვისაც შექსპირი უყვარს, ის მასთან ერთად უნდა ეძლეოდეს სიტყვების ორგანიზაციას.

როგორც ფრანგულმა გაზეთებმა აღნიშნეს, ორივე სპექტაკლი ძალიან ჰგავს ერთმანეთს, მაშინ, როცა შექსპირი და ბრეხტი ანტიპოდებია.

ჩემი ჰაბტუკობის დროს გატაცებული ვიყავი თეატრით; არ დამვიწყებია რუსთაველის და მარჯანიშვილის სახელობის თეატრების წარმოდგენები: „ცხვრის წყარო“, „უთიელ აკოსტა“, „ჰამლეტი“, „ყაჩაღები“, „ღალატი“ და სხვები. ავინიონში მიღებული შთაბეჭდილებების მიღების შემდეგ, ასე მგონია: თეატრალური ხელოვნება ჩვენს სამშობლოში თუ უკან არაა, წინ არ წასულა. იქნება მე ვცდები? დემტრთმა ქმნას ასე იყოს! ეს ურჩენია მამულსა.

გულბათ გულბათიშვილი
სექტემბერი, 1981.

ბ რ ძ ლ ა პ ო ლ ი ტ ბ ი უ რ ო ს წ ე ვ რ ე ბ ს შ ო რ ი ს ?

წელს, თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში, მოსკოვში დააბატმირეს „სახცირკის“ დირექტორი ა. კოლევატოვი, რომლის ბინის გაჩხრევის დროს პოლიციას აღმოუჩენია I მილიონ დოლარად ღრეებული ბრლიანტები და 300 ათასი დოლარის უცხოური ვალუტა. ეს სიმდიდრე უნდა მოდიოდეს იმ ქრთამებისაგან, რომლებსაც კოლევატოვი იღებდა საბჭოთა ციკების მსახიობებისაგან, მათთვის საზღვარგარეთ მივლინების ფასად. საბჭოების ქვეყანაში ქრთამი ახალი და იშვიათი ხილი არ არის. ეს საქმე სხვებისგან იმით განსხვავდება, რომ კოლევატოვთან მქიდრო(ამბობენ: მეტის-მეტად მქიდრო) ურთიერთობა ჰქონებია ბრეჟნევის ქალიშვილს, გალინას.

მოსკოვში ასევე დაფინებით დადის ხმები ბრეჟნევის ვაჟის, იურის შესახებ. ის იყო სსრკ საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე, ყველა ელოდა სულ მალე მის მინისტრად აღწევებას. ამის მავიერად ის დააქვეითეს, გადაიყვანეს ერთ-ერთ საელჩოში. მოართული ხმების მიხედვით, მას დიდძალი თანხა გაუფლანგავს. საქმის გამოძიება მიუნდღვით კავებებს თავმჯდომარის მოადგილის, გენერალ ცვიგუნისათვის. ცვიგუნი დიდი ხანი არაა, რაც მოულოდნელად გარდაიცვალა. ვითომც ვენ. ცვიგუნის საკმარისი სიფრთხილე ვერ გამოუჩენია გამოძიების დროს, რის გამოც იური ბრეჟნევის საქმე საჯაროდ გამჟღავნებულა. ცვიგუნი ქვისლი იყო ლ. ბრეჟნევის და, რასაკვირველია, ითვლებოდა ბრეჟნევის კაცად. კრემლინოლოგები გააკვირვა იმ ფაქტმა, რომ ცვიგუნის ნეკროლოგს პოლიტბიუროს წევრებიდან მხოლოდ ბრეჟნევი არ აწერდა ხელს. მოართული ხმების მიხედვით, უკმაყოფილო ბრეჟნევა თავის კაბინეტში გამოიძახა ცვიგუნი, მიხანა სუსლოვის თანდასწრებით(ეს უკანასკნელიც ცოტა ხნის წინად გარდაიცვალა). მიხანა დიდი ჩხუბი, წაწვე-წამოწვევა. ერთი ვერსიით, თვით ბრეჟნევა ლეკორვერით მოჰკლა ცვიგუნი, ხოლო მეორე ვერსიით, ბრეჟნევა ცვიგუნს უბრძანა თავი მოეკლა.

ხმები დადის აგრეთვე, რომ ახლო მომავალში უნდა გაიმართოს პარტიის ცკ. პლენუმი, რომელზედაც გადაწყდება მნიშვნელოვანი საორგანიზაციო საკითხები.

რა თქმა უნდა, ამ ხმების შემოწმება ძნელია და მხოლოდ მომავალი გამოაჩენს, მაგრამ ახლავე საინტერესო ისაა, რომ ეს ხმები მოსკოვში თავისუფლად ვრცელდება და განსაკუთრებით უცხოელი კორესპონდენტების გასაგონად. მიზანი ცხადია: უცხოეთის პრესისა და



რადიოს საშუალებით ეს ამბები ბრეჟნევის ოჯახის შესახებ გავრცელდეს საბჭოთა წესრიგში. აქედან დასკვნას აკეთებენ თითქოს ვადაფრებული ბრძოლა იყოს ხელისუფლების შენახვის სეზონში ბრეჟნევის მომკვიდრების ხელში ჩასაგდებად, ბრეჟნევის წრესა(რომელსაც დნებარობე-ტროვსკის შაიკას უწოდებენ) და მის მოწინააღმდეგეთა შორის და ხმებიც ბრეჟნევის ოჯახის შესახებ, ვითომც, ამ უკანასკნელთან მილიოდეს.

სსრკ. კ. პ. ცენტრალური კომიტეტის როლის გადიდება

ამ ხმებს ემატება თანდათან გახშირებული ცნობები ბრეჟნევის ძალიან ცუდი ჯანმრთე-ლობის შესახებ. ბრეჟნევი რომ მძიმე ავადმყოფია, ეს დიდხანია იციან საზღვარგარეშად, მა-რამ დღემდე ამას გულმოდგინედ უშალავდნენ საბჭოთა საზოგადოებას, ამ უკანასკნელად კი თითქოს ღირებულებები შეიცვალა, საბჭოთა ტელევიზიამ ორჯერ გადასცა ბრეჟნევი ღრმად მოხუცებული, მოტეხილი, მოკანკალე.

მთარული ხმების მართებულობის შესანამოწმებლად საინტერესოა ოფიციალური პრესის შეს-წავლა. უპირველესად რაც თვალში გვეცემა, ესაა კომპარტიის ც. კომიტეტის როლის და მნი-შვნელობის უჩვეულო გაზრდა. ცენტრალური კომიტეტის ხელმოწერით გამოქვეყნდა დადგენილე-ბა „საბჭოთა კავშირის შექმნის მე-60-ე წლისთავის შესახებ“. ც. კომიტეტმა მიმართა აგრეთ-ვე საბჭოთა ქალებს, ქალთა საერთაშორისო დღესასწაულთან დაკავშირებით, რვა მარტს. პოლონეთის დიქტატორის, გენერალ იარუხელსკის ვიზიტის საბატეციემოდ გამართულ ბანკე-ტზე, სტუმარმა გენერალმა სადღეგრძელო დალია ცენტრალური კომიტეტის და ლ. ი. ბრეჟნე-ისა, პოლიტიბურო არ უხსენებია. ასეთივე მდგომარეობას ჰქონდა ადგილი ფინეთის ახლადარჩე-ული პრეზიდენტის, ბატონ მაუნო კოივისტოს ვიზიტის დროს. სტუმარმა სადღეგრძელო და-ლია საბჭოთა ხალხისა და ლ. ბრეჟნევისა.


საინტერესოა პოლიტიბუროს იერარქიული რიგის შემოწმებაც, ისე, როგორც ის პრესა-ში ცხადდება. ბრეჟნევის შემდეგ პირველ რიგს მტკიცედ ინარჩუნებს კავებებს თავმჯდომარე ანდროპოვი. შემდეგ მოდიან გორბაჩოვი, გრიშინი, გრომიკო, ჩერნენკო უკანასკნელი რიგიდან თანდათან წინ მოიწევს, ხოლო კაპიტონოვი, რომელიც წინად ბრეჟნევის შემცველად მიაჩნ-დათ, უკან-უკან იხვეს.

ეს უფიციალური ცვლილებები არ შეიძლება შემთხვევითი იყვნენ. თუ გაითვალისწინებთ საბჭოთა რეჟიმის ისტორიას, ყოველთვის, როცა მმართველ ორგანოში, პოლიტიბუროში განხეთ-ქილება და ურთიერთ შორის ბრძოლა იყო, მაშინ ცენტრალური კომიტეტის როლი და მნიშვ-ნელობა ყოველთვის იზრდებოდა. ასე იყო, როცა სტალინი ებრძოდა ე.წ. მემარცხენე-მემარჯ-ვენე ოპოზიციების ლიდერებს. ასევე იყო, როცა ხრუშჩოვი ებრძოდა „სტალინის კულტს“ და მაშინაც, როცა ბრეჟნევის ჯგუფის შეთქმულებმა „პენსიაში“ გაუშვეს ნიკიტა სერგაიევი ხრუ-შჩოვი. ცენტრალურ კომიტეტის წევრების უმრავლესობა გენერალური სეკრეტარის ხალხია, ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ბრეჟნევის ერთგულები ცენტრალურ კომიტეტს ეყრდნობიან მო-წინააღმდეგეებთან ბრძოლაში.

ც. კომიტეტის დადგენილებაში „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის მე-60-ე წლისთავის შესახებ“ ბრეჟნევის სახელი ნახსენებია შვიდჯერ. პირველად ნათქვამია: „...ურდევია საბჭოთა ხალხის შეკავშირება მშობლიური კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო, რომელსაც სათავეში უდგას დიდი ლენინის საქმის ერთგული განმგრძობი ლ. ი. ბრეჟნევი.“ ამ ციტატაში ცენტრალური კომიტეტის უზენაესობა ხაზგასმულია და მის სათავეში დგას მხოლოდ ბრეჟნევი. პოლიტიბურო ვითომც არ არსებო-ბს. უკანასკნელად ბრეჟნევეტ ნათქვამია:

„დამაჯერებლად წარმოვაჩინოთ მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეების დიდი რევოლუციური გარდამქმნელი ძალა, ის მდიდარი შემოქმედებითი წვლილი, რომელიც ჩვენს პარტიას, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნეცს შეაქვთ მეცნიერული კომუნისმის თეორი-ასა და პრაქტიკაში.“

აქაც ხაზგასმულია ბრეჟნევის უპირველესი როლი, არა მარტო პრაქტიკაში, არამედ თეორიაშიც. აქედან ცხადი ხდება, რომ ბრეჟნევის კულტი ცენტრალურ კომიტეტში შეურ-ყვევია და შესაძლებელია, სწორედ ამ კულტის შესარყევად ვრცელდებოდეს ის ხმები, რომ-ლებზედაც ჩვენ ზემოდ გვქონდა ლაპარაკი.



გასული წლის ნოემბერში, სსრკ-სა და აღმოსავლეთ ევროპის ჰელსინკის ჯგუფების დაცვის კომიტეტმა წერილით მიმართა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს, მთავრობას და საზოგადოებრივ აზრს, რომელსაც პასუხი გასცა საფრანგეთის საგარეო ურთიერთობის მინისტრმა, ბატონმა კლოდ შეისონმა. ქვემოთ ვებქადავთ ამ წერილებს.

პარიზი. 28 ოქტომბერი, 1981 წელი.

მიმართვა :

- ბატონ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს,
- საფრანგეთის მთავრობას,
- საფრანგეთის საზოგადოებრივ აზრს.

მადრიდის კონფერენციის განახლებასთან დაკავშირებით საშურო გახდა მოგონება სოლიდარობისა და დაცვისა მათდამი, ვინც აღმოსავლეთ ევროპაში იტანჯება იმ პრინციპებისათვის, რომლებიც გამოცხადდა ჰელსინკში. საკითხი ეხებათ ჯგუფებს, რომელთა მიზანია კონტროლის გაწევა და დაცვა ჰელსინკის ხელშეკრულების საბოლოო აქტის გატარებისა სსრკ-ში: უკრაინელების, ლიტველების, ქართველების, სომხების და მოსკოვის ჯგუფების.

აღამიანის უფლებების, თავიანთი ეროვნული უფლებების და საერთაშორისო მშვიდობის ამ დამცველებმა, მთელი მათი იმედები დაუყავშირეს იმ მშვიდობიან, ლეგალურ განვითარებას, რომელსაც ჰელსინკის საბოლოო აქტმა ჩაუყარა საფუძვლები.

საბჭოთა ხელისუფლება მათ პასუხობს დაჭერით, დასჯით და გადასახლებით, რასაც ამ უკანასკნელად კიდევ ადგილი ჰქონდა მადრიდის კონფერენციის მიმდინარეობის პირველ ფაზაში. ახლო მომავალში-ნოემბრის თვეში- 5 წელი გახდება ამ ჯგუფების დაარსებიდან, რომელთა სანიმუშო ღვაწლი შეიძლება შეეძაროს ღუბჩეიკის ცდას პრალაში 1968 წელს და ამჟამად გარშავის „სოლიდარობის“ დემოკრატიულ მოძრაობას.

წარმოუდგენელია გული გავუტეხთ მშვიდობისა და დემოკრატიის ამ ჯგუფების მეთაურებს და მათი ქვეყნების მოსახლეობათა ფართო ფენებს სწორედ ამ გადამწყვეტ მომენტში, როცა მადრიდის კონფერენცია მიმდინარეობს. ჩვენ მივმართავთ ბატონ რესპუბლიკის პრეზიდენტს, რათა კეთილი ინებოს და გამოაცხადოს ამ ჯგუფებისა და ამ ხალხებისათვის მისი მქსიკოს ქარტია თავისუფლებაზე,

- საფრანგეთის მთავრობას, რათა მადრიდის კონფერენციაზე მოითხოვოს, რომ საბჭოთა მთავრობამ პატივი სცეს ჰელსინკის ხელშეკრულების საბოლოო აქტს, და იხმაროს ყოველი საშუალება ამ ჯგუფთა და მათი დაპატიმრებულ წევრების დასაცავად,

- საფრანგეთის საზოგადოებრივ აზრს, რათა მასიური მანიფესტაციებით მხარი დაუჭიროს ამ აღამიანის უფლებებისა და მშვიდობის დაცვის მებრძოლებს.

სსრკ-ს და აღმოსავლეთ ევროპის ჰელსინკის ჯგუფების დამხმარე კომიტეტი:

- მებტრ ე. მიკელ

- ი. მუზიანოვიჩი, უკრაინელთა საზოგადოების თავმჯდომარე საფრანგეთში

- ე. ტომიუს, ლიტველთა საზოგადოების თავმჯდომარე საფრანგეთში

- ვ. ხომერკი, ქართველთა საზოგადოების თავმჯდომარე საფრანგეთში

3 ნოემბერი, 1981.

ბბ. მუზიანოვიჩს, პეტროსიუსს, ხომერკის-სსრკ-ში და აღმოსავლეთ ევროპაში მომქმედ ჰელსინკის ჯგუფების დამხმარე კომიტეტს, პარიზში.

ბატონებო,

თქვენ ინებეთ მივმართათ ბატონ რესპუბლიკის პრეზიდენტისადმი, რომელმაც დამიავლა პასუხი გაცემთ ჰელსინკის უკანასკნელი აქტის დამცველ კომიტეტების წევრთა ბედის შესახებ.

როგორც თქვენც იცით, ბატონმა რესპუბლიკის პრეზიდენტმა, თავისი თანამდებობის მიღე-



ბისთანავე აღნიშნა თუ რა დიდ მნიშვნელობას აძლევდა ის მსოფლიოში ადამიანის უფლებების დაცვის საქმეს.

მე შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ საფრანგეთის მთავრობა არ მოისვენებს იმოქმედოს ამ მიმართულებით და არ დაიშურებს ძალას, რომ რეპრესიების ყველა მსხვერპლმა იპოვოს სამართალი.

რაც შეეხება საფრანგეთის მოქმედებას მადრიდის შეკრებაში, რომელიც ტარდება ჰელსინკის კონფერენციის გაგრძელების ფარგლებში, მე თქვენ ვახსენებთ, რომ ჩვენი დელეგაციის მეთაური უკვე რამოდენიმეჯერ გამოვიდა სხდომაზე და დაგმო ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების საფუძვლების დარღვევები ზოგიერთ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. კერძოდ დაგმობილი იყო ისეთი პირების დასჯა, რომლებიც იბრძვიან ჰელსინკის საბოლოო აქტის ცხოვრებაში გასატარებლად.

ამის გარდა, მადრიდის მოლაპარაკების ჩარჩოში ახალი ღონისძიებებისათვის, საფრანგეთი ემხრობა დასავლეთის წინადადებას, რომლის მიზანია ცნობილი იქნას იმ პირთა უფლება, რომლებიც აკონტროლებენ საბოლოო აქტის გატარებას.

ბოლოს, როგორც გაგრძელება საფრანგეთის ხელისუფლების არაერთი გამოსვლისა წარსულში საბჭოთა ხელისუფლების წინაშე, წარდგენილი იქნა ჩვენი წარმომადგენლისაგან მადრიდში საბჭოთა დელეგაციისადმი მოთხოვნა ბევრი ისეთი პირის სასარგებლოდ, რომლებიც „ჰელსინკის ჯგუფს ეკუთვნიან. ამასთან დაკავშირებით, თქვენ ადვილად გაიგებთ, რომ ადვილი არ ქონდება არავითარ ვახშიანებას, რადგანაც გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ეს მვენე იქნება იმ პირების ინტერესებისათვის, რომელთაც საფრანგეთი ცდილობს დაეხმაროს.

გთხოვთ მიიღოთ, ბატონებო, ჩემი ღრმა პატივისცემის გამოთქმა.

კლოდ შეისონ

*** **

მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას :

წელს 4 იანვარს, სოფელ სორეში (დორდონის დეპარტამენტი, საფრანგეთი) გარდაიცვალა ქალ-ბატონი რუსუდან კოშანოვსკი, თავად იოსებ დადიანის ასული და დაიკრძალა იქვე.

წელს 23 იანვარს პარიზში გარდაიცვალა თავადი ალექსი ბაგრატიონ-მუხრანელი.

წელს 18 მარტს სოფელ ბლიუსანში (დუბის დეპარტამენტი, საფრანგეთი) ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ბაგრატ ქაქიაშვილი. დაიკრძალა ადგილობრივად.

წელს 24 მარტს პარიზში უეტრად გარდაიცვალა ნიკო ყურულიშვილი. დაიკრძალა 30 მარტს ლევილის სასაფლაოზე.

და ჩვენს სამძიმარს ვუცხადებთ უნუგეშო ქირისუფალთ.

მ ი ღ ე ბ უ ლ ი შ ე მ ო წ ი რ უ ლ ე ბ ე ბ ი (ფრანგულ ფრანკებში)

პეტრე ხვედელიძე-ეკა და რუსუდან იოსების ასულ დადიანის კეთილმოსაგონრად	1.160		
იონა გუნია	50	ვლადიმერ რლხაძე	200
შოთა სანგულია	249	ტიტიკო ჩხეიძე	200
რაფიელ ჯაში	200	მიშა გოგორიშვილი	200
სანდრო ფანჩულიძე	200	გიორგი ნაკაშიძე	685
ლევან ფადავა	100	ილია მელია	100
აკაკი შავგულიძე	200	გ. გორგიშვილი	637
ირინე ბაგრატიონი	100	მართა სტურუა	50
იროდიონ ბეგიაშვილი	150	ამერიკიდან პ.ხ-ის ხელით	106
ნიკოლა ანთაძე	200	დავით ბებიაშვილი	576



კონსტანტინე ალშიბაია	100	ლევო ქეიშვილი	100
ქართველების მეგობარი	100	საშა ქეიშვილი	100
ქრისტეფორე იმნაიშვილი	200	რუბენ გვეტაძე	100
ლიდა ნასყიდაშვილი	50	ჯაბა ხაბულიანი	100
ნიკოლა მამულაშვილი	100	ნამეტია გოგუაძე	100
აკაკი გამსახურდია	50	გრიგოლ წერეთელი	100
მიშა გაფრინდაშვილი	200		

ჯ ა მ ი 6.811

*** *** ***

გრიგოლ რობაქიძის საიუბილეო დღეს კარებში შემომწირველთა სია :

100-100 ფრანკი : სანდრო ფანჯულიძე, გურამ ასათიანი, მია დადიანი, გიორგი წერეთელი; 50-50 ფრანკი : გრიგოლ წერეთელი, ლევან ფაღავა, შოთა აბაშიძე, თამაზ ნასყიდაშვილი, ვიქტორ ხომერტი, კონსტანტინე ალშიბაია, გრიგოლ ლომაძე, ჯაბა ხაბულიანი, რეზო ვოდე, ყორა ასათიანი, ირაკლი ჯაფარიძე; 30-30 ფრანკი : რეი ზურაბიშვილი, ზეინაზ ზურაბიშვილი, ჯამლეთ გვაჭავაძე; 20-20 ფრანკი : ილია თაყაიშვილი, არჩილ მქედლიშვილი, სიმონ კეკელიძე, პავლე ვაშაძე, ნიკო ყურულუიშვილი, დავით ყურულუიშვილი, პროკოფი იმწკირველი; 15-15 ფრანკი : თამარ პატარძიძე, გერასიმე ბოლქვაძე; 10-10 ფრანკი : ნიკო ურუშაძე, ალექსი აბაშიძე, აკაკი გამსახურდია.

ჯ ა მ ი = 1.240 ფრანკი

*** *** ***

ბ ა ლ ა ნ ს ი

	შემოსავალი	გასავალი
„თ.ტ.“ №34	2.223,60	3784
„თ.ტ.“ №35	7.603	13.019
გრ რობაქიძის იუბილეზე	1.240	1.515
„თ.ტ.“ №34-ში გამოცხადებული დანაკლისი		4.227,52
	<hr/>	<hr/>
	11.066,60	22.545,52

34 ნომრის ჩათვლით სალაროს დანაკლისი შეადგენს 11.478,92 ფრანკს.

ჩ ვ ე ნ ს ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ე ბ ი

მ ი ს ა ბ ა ძ ი მ ა გ ა ლ ი თ ი

ნიუ-იორკის ქართული სათვისტომოს გამგეობამ შეერთებულ შტატებსა და კანადაში მცხოვრებ ქართველებსა და პოლონელებს დაუზავანა წერილი, რომლითაც ატყობინებს:

კოლ-ქმარმა, ექიმებმა, მართა გრიგოლის ასულმა ალშიბაიამ და სტანლეი გარსტკამ გამგეობის განკარგულებაში გადასცა 47.000 დოლარი, ქართველი და პოლონელი წარმომობის ამერიკელი ახალგაზრდების წასახალისებლად: შეისწავლონ მამაპაპების, ქართული და პოლონური, ცივილიზაციები.

სათვისტომოს გამგეობამ უკვე დააარსა „მართა და სტანლეი ალშიბაია-გარსტკას ფონდი“, რომელსაც უპატრონებს გამგეობის მიერ დანიშნული წევრები და პატივცემული მეცენატები. ფონდის შემქმნელთა სურვილის მიხედვით წესდება სტიპენდია 5.000 დოლარის რაოდენობით წლიურად იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც დამატებით აირჩევენ შეისწავლონ ქართული ან პოლონური ენა, ისტორია, ეკონომიკა, პოლიტიკური და სოციალური საკითხები.

წესდების თანახმად, სტიპენდიატები უპროცენტო სესხის სახით ღებულბოგენ ამ თანხას, რომელიც სწავლის დამთავრების შემდეგ უნდა უნდა დააბრუნონ ხუთი წლის განმავლობაში, განსაკუთრებულ შემთხვევაში-ათ წელიწადში.

ეს დიდი მამულიშვილური საქმეა და ქალბატონ მართას და ბატონ სტანლეი გარსტკას, ვიმელოვნებთ, გამოუჩნდებათ მიმბაძველები ევროპაშიც.

22/36



წმინდანინობა ნიუ-იორკში

ისე როგორც პარიზში, ნიუ-იორკში ქართული საზოგადოების გამგეობა ყოველწლიურად ზემოთს ქართველთა მოქიქულის დღეს. წელსაც, მართლმადიდებელ ეკლესიაში პარაკლისის გადახდის შემდეგ, თავი მოიყარეს რესტორანში. აქ სიმღერისა და ცეკვის ვარდა ისაუბრეს სხვადასხვა ეროვნულ საკითხებზე. სათვისტომოს თავმჯდომარე, ბატონმა სანდრო ბარათელმა დამსწრეთ მოუთხრო გრიგოლ რობაქიძის ნაწარმოებების დიდ წარმატებაზე საქართველოში და მან განსაკუთრებით მოიგონა ის წარმატება, რაც წილად ხვდა გრ. რობაქიძის „ლამარას.“

*** **

დავით ბებიაშვილი

ქ. სან-ფრანცისკოში გამოშვებული რუსული გაზეთის, „რუსკაია ჟიზნ“-ის საშუალებით შევიტყვეთ, ჩენი თანამემამულისა და ჩენი გამოცემის კეთილისმყოფელის, ბატონ დავით ბებიაშვილის დამსახურების შესახებ, ამერიკის დღევანდელ მმართველ პარტიაში.

გასული წლის ნოემბერში, დავით ბებიაშვილს პრეზიდენტ რეიგანისაგან ჯილდოდ მიუღია დიდი ოქროს მედალი, ამერიკის სახელმწიფო დროშით და გერბით, რესპუბლიკურ პარტიაში აქტიური მოღვაწეობისა და დიდი უანგარო დახმარებისათვის.

რესპუბლიკურ პარტიაში გაწეული დამსახურებისათვის, ბატონ დავითს, უკვე მიღებული ჰქონია ორი ათეული დამსახურების მედალი. ის ეკუთვნის რესპუბლიკური პარტიის „აქტივისტთა ჯგუფს“ და წევრია ვაშინგტონის სენატორთა კლუბის.

დავით სიმონის-ძე ბებიაშვილი სწავლის დამთავრების შემდეგ, საქართველოდან გადავიდა ირანში 1932 წელში, შემდეგ საუდის არაბეთში. არქიტექტ-მშენებელს, დ. ბებიაშვილს ამ ქვეყნებში მრავალი ხილები და შენობები უშენებია. 22 წლის წინა დ. ბებიაშვილსა და სან-ფრანცისკოში ის განაგებს სააღმშენებლო კომპანიას.

4 მაისს დ. ბებიაშვილი მიწვეულია რესპუბლიკური პარტიის დიდ ბანკეტზე, რომელსაც აწყობს პარტიის ხელმძღვანელობა, პარტიის საარჩევნო ფონდის გასაძლიერებლად. ბანკეტზე თითოეულმა დამსწრემ უნდა გადაიხადოს ათასი დოლარი, მას დაესწრება პარტიის მთელი ხელმძღვანელობა, მათ შორის: პრეზიდენტი რეიგანი მეუღლით, ვიცე-პრეზიდენტი ჯორჯ ბუში, მეუღლით, სენატორები და დეპუტატები.

*** **

წინა ნომერში დაშვებული შეცდომების გასწორება— წინა, გრიგოლ რობაქიძის საიუბილეო ნომერში, გვ. 8, დაბეჭდილი ლექსი „ჩემი მამული“, გრიგოლ რობაქიძის კალამს არ ეკუთვნის, ის გახლავთ მისი მომდევნო თაობის წარმომადგენლის, პოეტ დიმიტრი ქიმიროძისა. უსაზღვროდ ვწუხვართ ჩენი უნებური შეცდომის გამო. იმავე ნომერში, გვ.60, ბ. ნიკო ურუშაძის „ჩემი მოგონებები გრ. რობაქიძეზე“ წერია: „...პარიზში ჩემი შეგობარი გ. ნოზაძე სცემდა მწორდულ ლიტ-პოლიტიკურ ჟურნალ „კლდეს.“ უნდა იყოს: „ქართლოსს.“



დავით და ლუიზა ბებიაშვილი



ბ ე რ ი ბ ე რ ნ ა რ უ ტ ი ე ს კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ა

წელს, 14 მარტს, დომ ბერნარ უტიემ, სოლემის (სართის დებ.) კათოლიკური მონასტრის ბერმა, სადაც მან გასულ წელს დააარსა კავკასიის ბიბლიოთეკა, - მოაწყო პარიზში კონფერენცია თემაზე: „სვანეთი, ქრისტიანობის უცნობი მოწმე.“

ეს არ ყოფილა კონფერენცია სიტყვის წმინდა გაგებით, არამედ, უპირველესად შთაბეჭდილებების გაზიარება ქრისტიანულ საქართველოში, და უმთავრესად სვანეთში მოგზაურისა, რომელიც სავსეა ქრისტიანული კულტურის სიმდიდრით.

მისაღმა რა ქართულ ხალხს თავის ღრეანდელ კონტექსტში, მამა უტიემ შესავალში ილაპარაკა ქართულ ქრისტიანულ არქიტექტურაზე ზოგადად და გვიჩვენა სურათები საქართველოს ისეთი ამბულბული ადგილებისა, როგორებიცაა ჯვარი, სვეტიცხოველი, შიო მღვიმელი, გელათი, ნანგრევები ზაგარის ტაძრისა და სხვა.

შემდეგ ის წავგიძღვა სვანეთში სამოგზაუროდ, რომლის დროსაც მოგვხიბლა დიდებულ და უპყრობი მთების ხილვით, ტიპური სოფლებით, რომელთაც დღეს კიდევ თავს დაცქერის 200-მდე კოშკი და სადაც ერთდამიამვე დროს გვხვდება წარმართული სარწმუნოებებისა და ქრისტიანული რელიგიის ნაშთები.

შესანიშნავი დიაბოლიტივები, ბრწყინვალედ ახსნილ-განმარტებული დომ ბ. უტიეს მიერ, ატყუებებს ჩვენს ყურადღებას. ძველი პატარა ეკლესიები ხის სამრეკლოებით, რომლებიც შესანიშნავი, მაგრამ დროის მიერ დაზიანებული ფრესკების გარდა შეიცავენ მრავალ წმინდა ხელოვნების ნიმუშებს: ხატებს, მოკაზმულ ჯვრებს, მდიდრულ ყდებში ჩასმულ სახარებებს, სქელ ტილოებზე შესრულებულ იშვიათ მხატვრობებს, მათ შორის გასაოცარი სცენა 40 წმიდამოწამისა, სახეების და პოზების იშვიათი ექსპრესიურობით.

კონფერენციამ, რომელსაც ესწრებოდა პროფესორი უორუ დიუმეზილი, მიიზიდა დიდძალი დამსწრენი, როგორც ფრანგები, ისე ჩვენი სათვისტომოს წევრები. ყველა მოიხიბლა ნაჩვენები ხელოვნების სილამაზით და მხურვალე სოცია გაუმართეს მომხსენებელს მაღლობის ნიშნად.

ეთერი

წმინდანობა პარიზში

კვირას, 17 იანვარს, შვედების ეკლესიის სალონში გაიმართა ტრადიციული წმინდანობა. საზოგადოდ ამ დღეობაზე ხალხმრავლობაცაა და ხელგაშლილობაც, რადგანაც ამ დღის შემოსავალი მთლიანად ხმარდება ჩვენი ეკლესიის მოვლა-შენახვას.

პურობა დაიწყო 14 საათიდან. სალონი ნელ-ნელა და თანდათან ივსება. 16 საათზე ბავშვებს ცალკე ოთახში უმართავენ „გუტს“ და ურიგებენ საშობო-სახალწლო საჩუქრებს.


18 საათზე, მოძღვარი ილია საზოგადოების მიმართავს სიტყვით, რის შემდეგ იწყება სანახაობები. მოულოდნელი აღტაცება და სიხარული გამოიწვია, თინა კერეცელიძისა და დალი კობახიძის მიერ მომზადებულმა სულ პატარა გოგონებმა და ბიჭუნებმა, ქართულ ტანსაცმელით კობხტად მორთულ- მოკაზმულდებმა, რომლებმაც იშვიათი სერიოზულობით შესრულეს ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები. დიდებული იყო 11-11 წლის ბიძაშვილების, სალომე და აღექისია კობახიძეების ლეკური. მშენებური სანახავი იყო აგრეთვე ახალგაზრდა ქალშვილების გუნდური ცეკვა, რომელსაც მოჰყვა ნინო ტარასაშვილისა და თამაზ ნასყდაშვილის მიერ ცოცხლად და ლამაზად შესრულებული ლეკური.

ხაზი უნდა გაესვას იმ სიამოვნებას, რომელიც მოგვანიჭა პიანისტმა ეთერი ჯაყელმა, მის მიერ პიანინოზე შესრულებული ხალხური მოტივებით. მისი დაკრული „კინტური“ იყო რაღაც სასწაულებრივი და საზოგადოებამაც მხურვალე ტაშით დააჯილდოვა.

ეთერი

ემიგრაციის პირველი თაობა

ემიგრაციაში დაბადებულთა პირველი თაობა შემოქმედების ფართო შარაზე გამოსული. ემიგრაციამაც და სამშობლომაც შეიძლება იამაყონ იმ ბრწყინვალე ეტიმებით, ადვოკატებით, ინჟინრებით, პროფესორ-პედაგოგებით, არქიტექტ-მშენებლებით, ფინანსისტებით და სხვა დარ-



გის მოღვაწეებით, რომლებიც წარმატებით საქმიანობენ ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში გვეყვანან გამოჩენილი პოლიტიკური და სახელწიფო მოღვაწეებიც. ქვემოთ ორ მათგანს ვიხსენიებთ.

კ ლ ო ღ დ ე კ ე მ უ ლ ა რ ი ა

საფრანგეთის რესპუბლიკის ახალმა პრეზიდენტმა, ბატონმა ფრანსუა მიტერანმა, თავის მაღალ თანამდებობაში შესვლისთანავე, გასული წლის ილისის პირველ რიცხვებში, თავის ემისრად საუდის არაბეთში დანიშნა კლოდ დე კემულარია.

კლოდ კემულარია დაბადებულია 1922 წელს პარიზში. სორბონის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, მან დაამთავრა პოლიტიკური მეცნიერების თავისუფალი სკოლა. 1945 წელს, კემულარია დაინიშნა საფრანგეთის შინაგან სამინისტროს კაბინეტის ატაშედ. 1945 - 56 წ. ის იყო პრეზიდენტ პოლ რენოს საპარლამენტო მდივანი და პ. რენოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, ფინანსთა მინისტრად და საფინანსო კომისიის თავმჯდომარედ ჟენის დროს, კ. კემულარია იყო მისი უცვლელი კაბინეტის უფროსი.

1961 წლიდან კ. კემულარია იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საინფორმაციო სამსახურის დირექტორი, ენევეაში. შემდეგ, 1965 წლიდან მონაკოს პრინცი კაბინეტის დირექტორი, რის შემდეგ მან ხელში აიღო ერთი დიდი პარიზული ბანკის დირექცია. კ. კემულარია ცოლშვილიანია. ჰყავს ერთი ქალიშვილი და ორი შვილიშვილი.

პ ო ლ შ ე ნ გ ე ლ ი ა

წელს, 14 მარტს, საფრანგეთში ჩატარებულ კანტონალურ არჩევნების დროს, პონ დე შერვის კანტონის გენერალურ მრჩეველად ხელახლად არჩეული იქნა პოლ შაღვას ძე შენგელია, სოციალისტური პარტიის კანდიდატი.

პ. შენგელია დაიბადა 1930 წლის 18 დეკემბერს ქ. ლიონში. ის 16 წლისა დაობდა მამით, რის გამოც ბოლომდე ვერ მიიყვანა დაწყებული ტექნიკური განათლება. მან სამსახური დაიწყო, როგორც ინდუსტრიულმა მხაზველმა და პარალელურად ეწეოდა პრესის კორესპონდენტობას, რის შესრულების დროსაც მას უხდებოდა ადგილობრივი ცხოვრების საკითხებთან უშუალო ურთიერთობა და ასე დაიწყო მისი პოლიტიკური კარიერა.

1965 წელს, შენგელია აირჩიეს ქ. პონ დე შერვის მუნიციპალიტეტის მრჩეველად. 1968 წელს, პონ დე შერვის კანტონის შექმნის შემდეგ, ის აირჩიეს ამ კანტონის მთავარ მრჩეველად. 1970 წლიდან მოყოლებული, პოლ შენგელია პონ დე შერვის ქალაქის მერია.

1981 წ. ოქტომბრიდან ის არჩეულია ლეფინეს დეპარტამენტის რკინისგზების სამმართველოს საბჭოს თავმჯდომარედ და ამავე დეპარტამენტის უცხოელი მუშახელის მიმდებარე საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტია, რომლის პრეზიდენტიცაა საფრანგეთის დეპუტატთა პალატის ახლანდელი თავმჯდომარე ლუი მერმაზი. პ. შენგელია ცოლშვილიანია. ჰყავს ორი შვილი და ორი შვილიშვილი.

